# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 თებერვალი 2006 №33 (2655) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ინტერვიუ

## კლაუს ტოპმიოლერთან

### ფსიქოლოგიური მომენტი. მწვრთნელმა ფეხბურთელებს პირველად ეს ჰკითხა:

# რატომ არ ხართ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე? თქვენ ხომ ეს შეგიძლიათ!





AFP

# კაპიტანი გენერალს კუნძულზე შეხვდება

## მალტაზე კახა კალაძეც ითამაშებს

*მალტის ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეც ითამაშებს. იტალიური „მილანის" ქართველმა მცველმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიწვევა უკვე მიიღო და 27 მარტს ის კუნძულზე იქნება. რამდენ მატჩს ჩაატარებს ახალი მწვრთნელის ხელში მალტაზე კალაძე, ჯერ უცნობია, თუმცა კლაუს ტოპმიოლერს პირველად სწორედ ამ ტურნირზე რომ შეხვდება და გაიცნობს, გუშინ თავადაც გვითხრა...*

— ნაკრების ახალ მწვრთნელს ჯერ არ შეხვედრილვარ და მასთან არც მისაუბრია, თუმცა ფედერაციიდან მოწვევა უკვე მივიღე და 27 მარტს მალტაზე გავემგზავრები, კლაუს ტოპმიოლერსაც იქ გავიცნობ. ჯერჯერობით არ ვიცი, ამ ტურნირზე რამდენ მატჩს ვითამაშებ, როგორც ტომპიოლერი ჩათვლის საჭიროდ, ისე იქნება. მე ნაკრებთან ერთად ვიქნები და დანარჩენს მწვრთნელი გადაწყვეტს.

**— „მილანიდან" რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნება?**

— არანაირი, უკვე გადაწყვეტილია, რომ მალტაზე ვითამაშებ. 1 მარტი ხომ ოფიციალურად დადგენილი ამხანაგური მატჩების დღეა და ნახევარი „მილანი" თავიანთ ნაკრებებშია გამოძახებული.

**— ვიცოდით, რომ ტოპმიოლერი იტალიაში ჩამოსვლას და შენს ერთ-ერთ მატჩზე დასწრებას აპირებდა...**

— ეგ მეც ვიცოდი, მაგრამ ფაქტია, აქ არ გამოჩენილა. რატომ, ვერ გეტყვით. ისე კი, ახლა ლამის ყოველ მეორე დღეს თამაში მაქვს და რომ ჩამოსულიყო, საქმეში აუცილებლად მნახავდა.

**— თუმცა ამბობს, კალაძე უმაღლესი დონის ფეხბურთელიაო...**

— ამისთვის მადლობელი ვარ. მან ალბათ იცის ჩემი შესაძლებლობები და იტალიაში ალბათ. ამიტომაც აღარ ჩამოვიდა.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შემდეგ აღარ გვისაუბრია. რას იტყვი, როგორ შეაფასებ ჩვენს ჯგუფს?**

— რა არის შესაფასებელი?! უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით, მსოფლიოს ორ ჩემპიონთან ერთად, თან კიდევ ახლა ძალიან ძლიერი უკრაინა და შოტლანდიაც ჩვენთან არიან. თუმცა საქართველოს ნაკრებს განწირულად სულაც არ ვთვლი, ჩვენი შესაძლებლობები თუ ბოლომდე გამოვიყენეთ, გამარჯვების გარკვეული შანსიც გვექნება. თანაც ახალი მწვრთნელი გვყავს და ვფიქრობ, უწინდელზე გაცილებით უკეთ ვითამაშებთ.

**— იტალიაში ამ ჯგუფზე რას ამბობენ?**

— ბევრსაც არაფერს. მთელა საფეხბურთო იტალია ახლა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზეა გადართული და ამ შესარჩევის კენჭისყრისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღებაც არ მიუქცევიათ. თუმცა იმას ყველა ამბობს, ჩვენი ჯგუფი დანარჩენებზე ძლიერიაო.

**— ანდრეი შევჩენკოსთან სამომავლო მატჩებზე არ გისაუბრია?**

— ერთი-ორჯერ კი ვახსენეთ ჩვენი ამბავი... უკრაინასთან ახლა რევანშისთვის უნდა მოვემზადოთ, ეს გუნდი სულაც არ არის დაუმარცხებელი.

**— სერია A-ზეც ვთქვათ: „ინტერ — „იუვენტუსის" მატჩის შემდეგ „მილანს" ჩემპიონატში მეორეობის შანსი გაუუმჯობესდა...**

— მეორე ადგილის შანსი დაკარგული არც გვქონდა. პირიქით, აქამდე ჩემპიონობაზე ვფიქრობდით, მაგრამ ბოლო ტურში „იუვენტუსის" მოგების შემდეგ, სასწაული უნდა მოხდეს, ამ გუნდს სკუდეტოსთვის შევეცილოთ. მეორე ადგილისთვის კი, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— კარლო ანჩელოტის მოხსნაზე ისევ ლაპარაკობენ?**

— ანჩელოტი „მილანის" მწვრთნელად სეზონის ბოლომდე ნაღდად დარჩება, ხოლო მერე რა იქნება, ვერ გეტყვით. ჯერჯერობით არც მის შესაძლო შემცვლელზე ლაპარაკობენ. ისე, ანჩელოტის წასვლა-დარჩენა „მილანის" წლევანდელ შედეგზეც არის დამოკიდებული — ჩემპიონთა ლიგაში ხომ ჯერ კიდევ სათამაშო გვაქვს.

**კობა ინასარიძე**

# კახა ალადაშვილმა მეტალურგს მიაკითხა

## ზაპოროჟიეს ქართული ფრთები ექნება?

**თითქმის** თვენახევარია, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი კიევის „დინამოში" არიან, ოღონდ ვიტჯორჯიელი თუ ყველა შეკრებაზე მთავარ გუნდთან ერთად მიჰყავდათ, ალადაშვილს „დინამო 2"-ში ავარჯიშებდნენ. კახამ სამი დღის წინ უკრაინას ქვედალიგელ ჩერკასის „დნიპროსთან" ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე, თუმცა კიევში აღარ გაჩერდა.

როგორც შევიტყვეთ, რევაზ ჩელებაძეს ალადაშვილი ზაპოროჟიეს „მეტალურგში" მიუყვანია და დიდი შანსია, ქართველმა მარჯვენაფლანგელმა ამ კლუბთან კონტრაქტიც გააფორმოს. შეგახსენებთ, რომ ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ვიაჩესლავ გროზნი წვრთნის, რომელსაც გუნდში ჰყავს ირაკლი მოდებაძე და გასინჯვაზე მყოფი დავით კვირკველია. ასე რომ, შესაძლოა, „მეტალურგი" ყველაზე ქართულ უკრაინულ გუნდადაც კი იქცეს.

და რაც შეეხება მარცვალაძეს: იგი კიევის „დინამომ" მესამე შეკრებაზეც წაიყვანა ისრაელში და სანდო წყაროდან გავიგეთ, რომ კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას — „ვიტ ჯორჯიასა" და კიეველებს შორის დღე-დღეზე მოლაპარაკება დაიწყება და ოთარიც ოფიციალურად გახდება დინამოელი.

**ილია ნანობაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

EURO 2008

# ბლოხინის 22 ბაქოში

**ევრო 2008-ის** შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე უკრაინა 28 თებერვალს ბაქოში აზერბაიჯანთან ითამაშებს. სუსტი სპარინგ-მეტოქის მიუხედავად, ოლეგ ბლოხინმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახა. ეგაა, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი ჰყავს ტრავმირებული.

ბლოხინმა ნაკრებში დააბრუნა მოსკოვის „სპარტაკის" მაქსიმ კალინიჩენკო და ბელგიური „შარლერუას" სერგეი სერებრიანიკოვი.

აქვე უკრაინული 22-კაციანი შემადგენლობაც:

*მეკარეები: ბოგდან შუსტი (შახტარი), ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო);*

*მცველები: ვლადისლავ ვაშჩუკი, სერგეი ფიოდოროვი, ანდრეი ნესმაჩნი (ყველა დინამო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (არსენალი), ანდრეი რუსოლი, ვლადიმირ ეზერსკი (ორივე დნიპრო);*

*ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი (ორივე დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), ალექსანდრ კუჩერი (მეტალისტი), ოლეგ შელაევი, სერგეი ნაზარენკო (ორივე დნიპრო);*

*თავდამსხმელები: სერგეი რებროვი (დინამო), ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (ორივე შახტარი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი სერებრიანიკოვი (შარლერუა, ბელგია).*

# ანდერსს ბაქოში მუჰამედი შეახსენეს

**წინა** ორი კვირის განმავლობაში პროგრამა „ოუფენ ფან ფუტბოლის" ხელმძღვანელმა კლაუს ანდერსმა და ამ პროგრამის რეგიონულმა ხელმძღვანელმა კავკასიაში ვალერი ჩოლარიამ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სკოლები მოიარეს. სამივე ქვეყნისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და ამ ზაფხულს რამდენიმე ათასი ბავშვი ისევ მიიღებს მონაწილეობას პროექტში.

21-25 თებერვალს კოპენჰაგენში ჩატარდება „ოუფენ ფან ფუტბოლის" სემინარი, რომელშიც საქართველოდან 4, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან კი 2-2 ინსტრუქტორი მიიღებენ მონაწილეობას.

და ერთი საინტერესო ამბავიც: კლაუს ანდერსის კავკასიური ვოიაჟის ფინალი არცთუ სასიამოვნო გამოდგა. მოგეხსენებათ, ანდერსი დანიელია, დანიურ გაზეთებში გამოქვეყნებულმა მუჰამედის კარიკატურებმა კი მუსულმანური სამყაროს გვარიანი პროტესტი გამოიწვია. ანდერსს აზერბაიჯანულ სემინარზე განმარტების გაკეთებაც მოუხდა, რომ პრესა თავისუფალია და სხვადასხვა სტატიები თუ კარიკატურები სრულებითაც არ გამოხატავს დანიის მთავრობის პოზიციას.

**გიორგი ნოზაძე**

## ინგლისი

| | |
|---|---|
| **პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | ბრენტფორდი 2:0 საუთენდი |
| ლივერპული 1:0 არსენალი | კოლჩესტერი 0:0 უოლსოლი |
| **ჩემპიონატი. XXXIV ტური** | როტერჰემი 2:0 ბორნმუთი |
| ბარნლი 0:1 ვულვზი | სუონსი 1:1 ბრედფორდი |
| ძრიუ 1:2 იფსვიჩი | სუინდონი 1:0 ჯილინგემი |
| ლიდსი 2:1 უოტფორდი | ტრანმერი 0:0 ჰარტლპული |
| ლესტერი 2:2 დერბი | იოვილი 1:1 დონსი |
| ლუთონი 3:3 კარდიფი | **II ლიგა. XXXIII ტური** |
| მილუოლი 1:1 ჰალი | ბარნეტი 2:3 ლინკოლნი |
| ნორვიჩი 3:0 ბრაიტონი | როვერსი 0:1 ჩელტენემი |
| შეფილდი 1:1 რედინგი | კარლაილი 2:2 შრიუსბერი |
| სტოკი 0:0 პლიმუთი | მენსფილდი 2:1 გრიმსბი |
| კრ. პალასი 2:1 ქუინზ პარკი | ნორთჰემპტონი 1:1 ლეიტონი |
| **I ლიგა. XXXIII ტური** | ნოტსი 1:2 უიკომბი |
| სკანთორპი 0:2 ბრისტოლი | პიტერბრო 2:1 დარლინგტონი |
| ბარნსლი 1:1 პორტ ვეილი | სტოკპორტი 3:0 როჩდეილი |
| ბლეკპული 0:1 ჰადერსფილდი | ტორკი 0:0 ბერი |
| | რედსემი 2:0 რაშდენი |

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ნანტი 1:1 ტრუა

სენტ ეტიენი 0:1 ნიცა

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

შატორუ 1:2დ.დ.(0:0) სოშო

## თურქეთი

**თასის ჯგუფური ეტაპი. III ტური**

ინეგოლსფორი 1:0 ბეშიქთაში

## ესპანეთი

**თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი**

რეალი 4:0 სარაგოსა (1:6)

## შოტლანდია

**თასის მერვედფინალი. გადათამაშება**

დანდი 2:0 ერდრი

გრეტნა 4:0 კლაიდი

როსი 0:1 ფოლკირკი

სენტ მირენი 3:0 სპარტანსი

# მანამდე შენი მოედანი და...



ვალერი ჩუხრი

**ფიფას** პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან მოსკოვური შეხვედრისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ახალი სანაკრებო ბაზის მშენებლობაზეც ილაპარაკა. მაშინვე ითქვა, რომ თებერვალში ფიფა წარმომადგენლებს მოავლენდა საქართველოში და ეს საკითხი უფრო დეტალურად თბილისში განიხილებოდა. წარმომადგენელთა როლში კი ფიფას პროგრამა „გოლის" კურატორი ევა პასკიე და მოსკოვური ბიუროს ხელმძღვანელი ვალერი ჩუხრი იქნებიან.

ვალერი ჩუხრი თბილისში გუშინ ჩამოვიდა და „თბილისი მარიოტში" დაბინავდა. მას მოედნების დარგში ფიფას ექსპერტიც ახლავს, რომელთან ერთადაც დღეს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასას" მოინახულებს. არ არის გამორიცხული, იქ არსებული ბუნებრივსაფარიანი მოედნის ადგილას ბოლოთაობის ხელოვნური საფარი დაიგოს, ბუნებრივსაფარიანი მოედანი კი მის გვერდით გაკეთდეს. ხელოვნურსაფარიანი მოედნისთვის საჭირო 400 ათასი დოლარი ფიფამ კარგა ხანია, გადმოურიცხა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემოდგომამდე ამ საქმესაც შეიძლება, დაედგას თავი.

რაც შეეხება ახალი ბაზის მშენებლობას, როგორც „სარბიელთან" ამასწინანდელ ინტერვიუში ვალერი ჩუხრიმ განაცხადა, ფიფა მხოლოდ მიესალმება ამ წამოწყებას, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის რესურსებიც არ არის შეუზღუდავი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სპონსორების დახმარებით მოუწევს ამ პროექტის რეალიზება.

ევა პასკიე, ისევე როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, წუხელ უნდა ჩამოსულიყო თბილისში. „ბასას" მომავალსაც ფეხბურთის ფედერაციაში გამართული შეხვედრები მოჰფენს ნათელს...

**გიორგი ნოზაძე**

# ქარიშხალა ბორგავს: აუქციონი არ შედგება



კახა დევდარიანი

**ყველაფერს** ფულით ვერ იყიდი — ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის ფრაზა პირიქით ესადაგება სპორტკომპლექს „ქარიშხალას" ამბავს. თურმე ძალიან კარგადაც იყიდი, თუ გინდა: გეხსომებათ, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ „ქარიშხალა" ტენდერზე გაიტანა, საწყისი ფასი კი 2,5 მილიონი დოლარია.

სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდიდან გაიგო და იმ დღესვე პროტესტი გამოთქვა. გუშინ კი „ქარიშხალაში" საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება ერთხელაც დაგმეს...

იურისტმა გიორგი გზობავამ „ქარიშხალას" ტენდერზე გატანის უკანონობაზე ისაუბრა, მთავარი ამოსავალი წერტილი კი ისაა, რომ სპორტული ობიექტების ლიკვიდაცია ან პროფილის შეცვლა დაუშვებელია, სანამ მათ სანაცვლოდ ტოლფარდი ობიექტი არ გადაეცემათ.

„ქარიშხალას" დირექტორმა და ფუტზალის ასოციაციის პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა კი თქვა, სპორტკომპლექსი დოტაციაზე არაა, აქ ბევრი რამ ჩემი გაკეთებულია და ახლა ამას გვართმევენო.

„ბავშვებს რას ეუბნებიან? ნებისმიერი დაგიდასტურებთ, რომ აქ შეღავათიანი ფასებია ვარჯიშისთვის და გაკაჟებისთვის. ჯანმრთელი თაობა თუ არ სჭირდებათ, სხვა საქმეა. ეს ხომ ტყუილია, თითქოს მყიდველი ორგანიზაცია ამ ბავშვებზე იზრუნებს. ჩათვალეთ, რომ თუ ტენდერი გაიმართა, ფუტზალიც მოკვდება და ბევრი ბავშვი ქუჩაში დარჩება, ცუდ გზას დაადგება" — თქვა დევდარიანმა.

აღშფოთებული იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ასმათ ტყაბლაძეც. მან განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკა მთავრობა:

„სპექტაკლ „ძველ ვოდევილებში" არის სცენა, სადაც მარინე თბილელი გაუჩერებლად ლაპარაკობს, უეცრად ვასო გოძიაშვილი გააჩერებს და ეკითხება, ქალბატონო, თქვენ გიჟი ხომ არ ხართო. უკაცრავად და, მე ამ მთავრობას ვეკითხები, გიჟები ხომ არ არიან, რომ ამდენ ობიექტს ყიდიან? ასევე მინდა, მივმართო ცნობილ ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილს, რომ დაეხმაროს „ქარიშხალას". ვიცი, ბატონ ბიძინას არ სურს საქვეყნოდ გამოჩენა. პირადად მე მისგან არანაირი დახმარება არ მიმიღია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სპორტკომპლექსს თანადგომა სჭირდება".

პრესკონფერენციაზე საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ „ქარიშხალას" აუქციონზე გატანას არაფრის დიდებით არ დაუშვებენ. ეს ერთადერთი გზაა, 23 თებერვალს ეკონომიკის სამინისტროში სპორტკომპლექსის ხსენება არ უნდა იყოსო.

ვნახოთ, დაველოდოთ...

**ლუკა თალაკვაძე**

# შეფერხება სიონში

## ფეხბურთელები კლუბს სასამართლოში უჩივიან

*ბოლნისის „სიონი" მიმდინარე, მეჩვიდმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ერთი ხანობა ისეთი შეფერხება შეექმნა, ამბიციურობის შანსი ეკარგებოდა, თუმც ჩარხი უკუღმა დაატრიალა...*



ევგენი ლაშჩუკის ტრანსფერი კინაღამ ჩაიშალა

**პირველი** წრის დასრულების შემდეგ „სიონში" გაურკვევლობა იყო. კლუბს ორი მეპატრონე ჰყავდა და ჰყავს — ბოლნისის გამგეობა და საწარმო „მადნეული". გამგეობას კლუბის დაფინანსებაზე უარი არასოდეს უთქვამს, „მადნეულს" კი მფლობელი შეეცვალა და გაურკვეველი იყო, დაეხმარებოდა თუ არა ეს კომპანია გუნდს.

„მადნეული" რუსულმა კომპანია „პრომინვესტმა" იყიდა და ყაბულსაა, „სიონს" დაეხმაროს. მაგრამ მაშინ, პირველი წრის დასრულებისას, ასეთი პირობა არ არსებობდა და „სიონი" ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — მცველი თენგიზ ჩიკვილაძე და ნახევარმცველები, გრიგოლ დოლიძე და დავით ბოლქვაძე თბილისის „ამერში" გადავიდნენ, ხოლო შემტევი ჯაბა დვალი „დინამოში" დაბრუნდა.

2005 წლის მიწურულს კი გადაწყდა, რომ „სიონის" 50-50-პროცენტიანი მფლობელები ბოლნისის გამგეობა და „პრომინვესტი" იქნებოდნენ და „სიონმაც" გუნდის გაძლიერებას მიჰყო ხელი.

„სიონში" მივიდნენ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი ფოთის „კოლხეთიდან", მცველი ლაშა ჭელიძე „ბორჯომიდან", ფორვარდი ირაკლი სირბილაძე „ლოკომოტივიდან", გამთამაშებელი გიორგი ყიფიანი, რომელიც ბოლო რამდენიმე თვე უგუნდოდ იყო, „სიონში" დაბრუნდა პირველ წრეშიც „დინამოდან" ნათხოვარი შუახაზელი ლევან ხმალაძე.

„სიონმა" მეორე წრის წინ უცხოური შეკრებაც გაიარა იალტაში და იქიდან უკრაინელი თავდამსხმელი, ახმახი ევგენი ლაშჩუკი წამოიყვანა, მაგრამ...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბოლნისის „სიონს" ტრანსფერები დაუხურა, ანუ კლუბს ფეხბურთელების დამატების უფლება ჩამოართვა.

მიზეზი: „სიონის" ყოფილმა ფეხბურთელებმა, დავით ზაზაშვილმა, დავით არჩვაძემ და ირაკლი მიქავამ კლუბს ფედერაციაში უჩივლეს, „სიონს" კუთვნილი თანხა სრულად არ მოუციაო. ეს ფეხბურთელები „სიონში" 2004-05 წლებში თამაშობდნენ.

როგორც გაირკვა, ფეხბურთელები „სიონს" სასამართლოშიც უჩივიან და კლუბმაც გამოსავალს მიაგნო — ფედერაციას სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დამადასტურებელი წერილი გაუგზავნა და თან პირობაც მისცა, თუ სასამართლო ფეხბურთელებისთვის სასარგებლო ვერდიქტს გამოიტანს, ამ ფეხბურთელებს თანხას გადავუხდითო.

ასეთი ფიცი-მტკიცით „სიონმა" ტრანსფერების წარმოებას უფლება დაიბრუნა და ახლა სამ კამერუნელ ფეხბურთელსაც ელის — სატრანსფერო ფანჯარა საქართველოში 31 მარტამდეა ღია.

„სიონის" მესვეურები ლაშჩუკის გარდა სხვა უკრაინელ ფეხბურთელებსაც ეძებენ — კლუბის ვიცე-პრეზიდენტი დავით სილაგაძე და დირექტორატის წევრი ბადრი უგულავა სწორედ ამის გამო იმყოფებიან ახლა უკრაინაში.

**დავით თავართქილაძე**

# გიგიაძემ ანთალიაში ტყუპი დატოვა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა უკრაინულმა „კრივბასმა" ბოლო საკონტროლო შეხვედრა ბელარუსულ ბატე-სთან გამართა და 3:1 გაიმარჯვა.

ბორისოველებმა თავიდანვე გაიტანეს, თუმცა მალე ვასილ გიგიაძემ თავისივე მონადირებული პენალტით გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმში ქართველმა ფორვარდმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა.

„კრივბასი" გუშინ დაბრუნდა უკრაინაში და ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებასაც იქ გააგრძელებს.

**გიორგი ნოზაძე**

## თვალი თვალი




### ჩვენ ავირჩიეთ ხეორხია

*ამათ ოკეანე, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადმოიარეს და ახლა თბილისში, გეპეის მერვე კორპუსთან, საფეხბურთო მოედანზე დგანან — ფორვარდი გონსალო დე პორასი და ნახევარმცველი დარიო სებალე არგენტინელები არიან და მეორე წრიდან ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან „ბორჯომში" ითამაშებენ.*

*ცნობისთვის: ისინი პირველი არგენტინელები არიან ხეორხიაში, ანუ საქართველოში რომ ითამაშებენ.*

*ერთხელ უკვე მოგიბოდიშეთ, რომ კლაუს ტოპმიოლერის გადატვირთული გრაფიკის გამო მასთან თქვენს ინტერვიუს მცირედი დაგვიანებით შემოგთავაზებდით. საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა და საქართველოს ნაკრების გერმანელმა თავკაცმა თქვენს კითხვებს ამომწურავად უპასუხა.*
*მაშ ასე, აგერ ტოპი და აგერ თქვენი კითხვები...*

# თქვენი ინტერვიუ

# კლაუს ტოპმიოლერთან





### გიორგი ქსოვრელიშვილი

— ბატონო კლაუს, რა პიროვნული თვისებებია აუცილებელი წარმატებული მწვრთნელისთვის?

— მთავარია, მწვრთნელი ორივე ფეხით მიწაზე იდგეს. ჰქონდეს სურვილი, ყოველთვის იმუშაოს, კრიტიკაც ისე მიიღოს და ქებაც, რომ ადამიანად დარჩეს. და მთავარი: ბოლომდე დარჩეს ისეთად, როგორიც არის.

### ვალერიან თოდრია

— ჰერ კლაუს, მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი ფეხბურთელთა დაბალი კვალიფიკაციაა. რა საფუძველი და არგუმენტები გაქვთ, რომ საქართველოს ნაკრებში თქვენი საქმიანობა წარმატებული იქნება?

— საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვს. ძალიან ბევრი ფეხბურთელია, რომლის კვალიფიკაციაში, ბრძოლისუნარიანობაში და ტაქტიკურ განათლებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრია. სწორედ ამიტომ წამოვედი საქართველოში, რადგან ჩემთვის ეს იყო საინტერესო.

— თქვენთვის წინასწარ ცნობილი რომ ყოფილიყო ევრო 2008-ის შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობა, დათანხმდებოდით თუ არა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას?

— რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან ვითამაშებთ?! ყველა ქართველი ფეხბურთელი ცალ-ცალკე კარგია, მაგრამ მათ ერთ გუნდად შეკვრა უნდათ. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ მეტოქეს მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ასეთი ძლიერი მეტოქეები არ გვყავდეს.

— მიუხედავად ჩემი პესიმისტური განწყობისა, თქვენ შესანიშნავი მწვრთნელი ბრძანდებით და მინდა, წარმატებები გისურვოთ საქართველოს ნაკრებში მუშაობის პერიოდში...

— დიდი მადლობა.

### ნუკრი

— ჰერ კლაუს, თანხას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია თქვენთვის, უკვე დავრწმუნდით თქვენი მხრიდან გაცილებით მომგებიან კონტრაქტებზე უარის თქმის გამო. მაშ, რამ გადაგაწყვეტინათ, გამხდარიყავით საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?

— ბევრი ფული არ მჭირდება, ცხოვრებაში უკვე საკმაოდ გამოვიმუშავე. დღესდღეობით საინტერესო საქმე უფრო მჭირდებოდა, დანარჩენი შემოთავაზებები კი უინტერესოდ მიმაჩნდა. საქართველოში ბევრია გასაკეთებელი და ამით ჩემს პროფესიონალიზმს უკეთ გამოვავლენ.

### გიორგი კეკელია

— ქართული ფეხბურთის ქომაგებს ხშირად უჩნდებათ კითხვა: სასელექციო მუშაობის პერიოდში დააკვირდებით თუ არა 1984-85 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს, რომლებმაც 2001-03 წლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს 17 და 19-წლიანთა ევროშესარჩევებში. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებთა გაფართოებული სიის შედგენისას მათ ფედერაცია იგნორირებას უწევს...

— ნაკრებში ყველა საუკეთესოს მივიწვევ. იმ სამ თამაშში, რომელიც მალტაშია დაგეგმილი, ბევრს დავაკვირდები. რამდენიმეს გაცნობა უკვე მოვასწარი კიდეც, მაგრამ ამ 1984-85-წლიანების თაობაში ვინ შედის, ჩემთვის ჯერ უცნობია. იქნებ, მომაწოდოთ მათი სახელები და გპირდებით, რომ აუცილებლად ვნახავ ამ ბიჭებს. და საერთოდ, კარგი იქნება, ქართველი ქომაგებისგანაც ვიცოდე, მათი აზრით, ვინ იმსახურებს ნაკრებში თამაშს. ბუნებრივია, რომ ამ მხრივ სრულ ინფორმაციას ჯერ არ ვფლობ.

### დავით ბრეგვაძე

— გააჩნია თუ არა საქართველოს ნაკრებს იმის პოტენცია, რომ საფრანგეთსა და იტალიას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს?

— შანსი ყოველთვის არის. მით უმეტეს მაშინ, როცა წინ მსოფლიოს ჩემპიონატია. ახლახან საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს ველაპარაკე და მისი აზრიცაა, რომ მუნდიალის შემდეგ მისი გუნდი შესაძლოა აბსოლუტურად სხვანაირი იყოს. არ გამოვრიცხავ, იგივე ბედი ეწიოთ იტალიის და უკრაინის ნაკრებებს.

— ნაკრებში მუშაობა პირველად გიწევთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, მწვრთნელისთვის კლუბში მუშაობა უფრო ძნელია თუ ნაკრებში?

— ორივე ძნელია, მაგრამ ნაკრებში მწვრთნელობა იმითაა რთული, რომ აქ მთელი ქვეყნიდან უნდა აირჩიო თერთმეტი კაცი. ისე კი, ბევრისგან განსხვავებით, საქართველოს ერთი პლუსი აქვს — აქ ფეხბურთს ყველა თამაშობს და არჩევანიც ძალიან დიდია.

— როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის აქვს ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი?

— ბრაზილიას. მათ ხომ ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, დიდა, ლუსიო, კაფუ, რონალდინიო, რონალდო და სხვები რომ არიან.

### თორნიკე

— გთხოვთ, ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე მიპასუხოთ: თქვენი აზრით, დაახლოებით რამდენი პროცენტია იმის შანსი, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ ჯგუფიდან გააღწიოს?

— ზუსტად როგორ გითხრათ, მაგრამ შანსი არის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ავაწყობთ საქმეს. ცუდი ისაა, რომ გუნდის თამაში ჯერ არ ვიცი, თუმცა ფეხბურთელთა ნაწილს უკვე ვიცნობ.

— მართალია, ჯერ კარგად არ იცნობთ ქართველი ფეხბურთელების სრულ პოტენციალს, მაგრამ მაინც: ვის გარშემო აპირებთ გუნდის აწყობას?

— ხიზანიშვილის, კალაძის, კობიაშვილის, ასათიანის... დიდი სურვილი მაქვს, ნაკრებში ითამაშოს არველაძემაც. გამიხარდება ქინქლაძის დაბრუნებაც — იგი უდიდესი ფეხბურთელია. ასევე ვაპირებ დემეტრაძის მიწვევასაც. მისი თამაშები ფირზე ვნახე და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიცი კანკავა, მჟა-








AFP




AFP

ვანაძე, კანდელაკი, მენთეშაშვილი, ფოფხაძე...

**— ხედავთ თუ არა უცხოელი მეკარის გაქართველების აუცილებლობას?**

— უკვე ხშირად ვიმეორებ, რომ აქცენტს გავაკეთებ ქართველებზე. ჩემი აზრი ასეთია — საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ქართველებმა უნდა ითამაშონ.

**— ნანახი თამაშების მიხედვით, რომელი პოზიციაა ყველაზე მტკივნეული საქართველოს ნაკრებში?**

— ამაზე ჯერ არ ვილაპარაკებ, რადგან ყველაფერი წინაა. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი პრობლემა ჩვენს გუნდში არ იქნება. დღესდღეობით ყველა ფეხბურთელის ტესტირებას ვახდენთ და მერე ნახავთ, ვინ რა პოზიციაზე ითამაშებს. ცხადია, ჯერ მიახლოებითაც ვერ გეტყვით იმას, თუ ვინ წავა იტალიაში. ამაზე ჩემს დამხმარეებთან ერთად ვმუშაობ.

### დავით ბახტაძე

**— როგორ აპირებთ საქართველოს ნაკრების ისეთი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა, მოტივაცია, გამარჯვებულის მენტალიტეტის დეფიციტი და რიგი ფეხბურთელების უპასუხისმგებლო და უტილიტარული დამოკიდებულება ეროვნული გუნდისადმი?**

— არ მოგატყუებთ და, თავიდან მეც იგივე შთაბეჭდილება შემექმნა. ცხადია, რომ ცალ-ცალკე ყველანი კარგები არიან, მაგრამ ერთიანობა აკლიათ. ფეხბურთელებს რომლებსაც უკვე ვესაუბრე, ერთი კითხვა დავუსვი და დანარჩენებთანაც იგივე კითხვა მექნება — რატომ არ ხართ წლეულს გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე? თქვენ ხომ ეს შეგიძლიათ!

### დავით აჩნიაშვილი

**— რამდენია მეკარის ოპტიმალური სიმაღლე?**

— რაც უფრო მაღალია მეკარე, მით უკეთესი.

**— რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ საქართველოში მეკარეები გვყავდეს?**

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ მივხვდი, ამ კითხვაზე რა უნდა გიპასუხოთ.

### ლუკა

**— ნაკრებს არ ჰყავს მარჯვენა ნახევარმცველი. საჭიროა თუ არა ამ პოზიციისთვის ფეხბურთელის ნატურალიზება ან სხვა რა გზას ხედავთ?**

— უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ არავის მოყვანას არ ვაპირებ: გუნდში ქართველები ითამაშებენ.

### ოთარ ელოშვილი

**— უბრალოდ მაინტერესებს, როგორი წინათგრძნობა აქვს ბატონ კლაუს ტოპმიოლერს — გავალთ ჯგუფიდან?**

— რომ გითხრათ, უეჭველად პირველ ადგილზე გავალთო, მართალი არ ვიქნები. ამის საფუძველს ჩვენი ჯგუფიც არ მაძლევს. ზუსტად ვერ გეტყვით, რომელ ადგილზე გავალთ, მაგრამ საქართველოს ნაკრების თამაშს წარმატებულს გავხდით.

### თენგიზ ლაცაბიძე

**— თქვენი ყველას ძალიან გვეიმედება, რადგანაც ბრძანდებით პროფესიონალი, ამბიციური და ისეთი ფეხბურთის მქადაგებელი,** **რომელიც ჩვენთან, ქართულთან ახლოსაა. იმედია, თქვენ ხელში ჩვენი ნაკრები შეძეგიან და შემტევ ლამაზ ფეხბურთს ითამაშებს.**

**მაინტერესებს, საქართველოში ხშირად იქნებით თუ თქვენც ბატონ ჟირესივით ხშირად დატოვებთ ჩვენს ქვეყანას და იშვიათად გვესტუმრებით?**

— პარიზული მოლაპარაკება და ის შეხვედრები რომ არა, რომლებზეც ჩემი ყოფნა აუცილებელი იყო, ახლა უკვე მანდ ვიქნებოდი. ძალიან მინდოდა, კვირას ჩამოვსულიყავი და დიდი პრესკონფერენცია გამემართა, მაგრამ... ახლაც პარაგვაიში მივდივარ, რათა ამხანაგური მატჩის დეტალები შევათანხმო. ვეცდები, ხშირად ვიყო საქართველოში. ისიც კი მინდა, რომ ხშირად ვავარჯიშო ფეხბურთელები, მაგრამ ამაში ფიფას კალენდარი შემიშლის ხელს — მოთამაშეებს ხომ ყოველთვის ჩემ ნებაზე ვერ შევკრებ.

**— მისცემთ თუ არა შანსს ლატვიაში, ლიტვაში, კვიპროსში, აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველებს?**

— შანსი ყველას მიეცემა, ვინც დაიმსახურებს.

### უშანგი რუხაძე

**— როგორ უყურებთ ვეტერანი ფეხბურთელების, ანუ 30 წელს გადაცილებული მოთამაშეების ნაკრებში მიწვევის საკითხს?**

— ერთ რამეს გეტყვით: არ არსებობს მოხუცი და ახალგაზრდა მოთამაშე, არსებობს მხოლოდ ცუდი და კარგი მოთამაშე. ასე რომ, შანსი ყველას ექნება.

**— შეეცვლება თუ არა ნაკრებს კაპიტანი?**

— მართალია, კალაძეს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. მთავარია, როგორ შევეწყობით ერთმანეთს, ის ხომ ჩემი მარჯვენა ხელი უნდა იყოს მოედანზე. ისე, ყველა ფეხბურთელი კარგია და მათი გაცნობის შემდეგ იქნებ აზრიც შევიცვალო, ვნახოთ...

**— ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თუ მოხვდებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში რეგულარულად ვერ ხვდებიან ძირითადში, ან დუბლებში თამაშობენ?**

— ორაზროვანი კითხვაა. მაგალითად, დღესდღეობით ბევრი ქართველი არაა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ეს ტრავმის გამო. თუნდაც ხიზანიშვილი. ხოლო რაც შეეხება სხვას, მე შანსს ამის მიუხედავადაც ყველას მივცემ.

**— საკმაოდ რთულ საქმეს მოჰკიდეთ ხელი და როგორი განწყობა გაქვთ?**

— ძალიან კარგი. მინდა, ჩემი ლევერკუზენული საქმიანობა გავიხსენო. მაშინაც არცთუ ძლიერ გუნდში დავიწყე მუშაობა, მაგრამ დიდ წარმატებას მივაღწიე და ისეთი გრანდები დავამარცხე, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“, „მანჩესტერი“ რომ არიან და ფინალში გავედი. მაშინ ხელი გუნდმა შემიწყო და იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრებშიც ასე იქნება.

**— ნაკრებში რეჟიმის დამრღვევი ფეხბურთელი თუ დაისჯება და როგორ?**

— რა თქმა უნდა, დაისჯება. დისციპლინა ყველაზე მთავარია. თუ ოცი მოთამაშიდან ერთმა აურია და არ დაისაჯა, მაშინ ყველა თავის ნებაზე ივლის.

**— თუ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა თამაშების კალენდარს?**

— რა თქმა უნდა. ჩვენი კალენდარი რომ გასულიყო, უკეთესი იქნებოდა. მაგრამ არც ბოლო ვარიანტია ცუდი. მაგალითად, მინდოდა, პირველ სამ ტურში ერთი საშინაო მატჩი მაინც გვქონოდა, მაგრამ არც ასეა ცუდი, რადგან შანსი მაქვს, მეტოქეები სტუმრად ვნახო, კარგად შევისწავლო და მერე შინ მომზადებული დავხვდე.

**— დაასახელეთ ყველა დროის საუკეთესო ნაკრები...**

— მიმაჩნია, რომ იტალია, ჰოლანდია, ინგლისი და არგენტინა ყოველთვის ძლიერები იყვნენ. აღარაფერს ვამბობ ბრაზილიაზე...

### დავით ფხაკაძე

**— ბევრის აზრით, რაც საქართველოს ნაკრებს წლების განმავლობაში აკლდა, პირველ რიგში ეს იყო სათამაშო დისციპლინა. როგორც ვიცით, გერმანელი კაცისთვის ეს კომპონენტი ერთ-ერთი უპირველესია. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხერხდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა?**

— რა თქმა უნდა, დისციპლინა უმთავრესია. რაც გუნდს აკლდა, ის უნდა შევმატოთ. თუ გერმანელების დისციპლინაზე ლაპარაკობთ, მაშინ იმასაც გეტყვით, რომ გერმანიის ნაკრების დარი დისციპლინა საქართველოს რომ ჰქონდეს, ძალიან ძლიერი იქნებოდა.

### თემურ ლონლაძე

**— რამდენად სწორია ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დაყრდნობა იმ დროს, როცა ნაკრები, ფაქტობრივად, ახლიდან იწყებს შენებას?**

— ეს უკვე ვთქვი და ერთხელაც გავიმეორებ: ყველას მივცემ შანსს, რათა კარგიდან საუკეთესო ამოვარჩიო.

**— ნაკრების წარმატების საიდუმლო რაში მდგომარეობს?**

— პირველ რიგში დისციპლინა, იმედი და მებრძოლი სული, რაც ქართველებს არ აკლიათ.

### ვეფხია ტოკლიკიშვილი

**— რა იქნება თქვენთვის მთავარი მალტის ტურნირზე — შედეგი თუ ხარისხი?**

— ჯერჯერობით გუნდს ვერც ერთს ვერ მოვთხოვ, რადგან მალტაში ჩემი გუნდი არ ითამაშებს. მალტა არის გამოფენა, სადაც ყველა ფეხბურთელმა უნდა სცადოს ჩემი ყურადღების მიქცევა, მაჩვენონ, მეც აქ ვარ, დამინახე, ნაკრებში თამაში მინდა.

**— როგორც ახალგაზრდა მწვრთნელს, მაინტერესებს სახელმძღვანელოები მწვრთნელებისთვის. რომელიმე გერმანულ წიგნს ხომ ვერ მირჩევდით?**

— მინდა, გითხრათ, რომ ყველაზე დიდი სახელმძღვანელო პრაქტიკაა. მე თქვენ ადგილას წიგნების კითხვის ნაცვლად ყველა თამაშის ფირს მოვიძიებდი და ვნახავდი. თამაშში ყველაზე კარგად ჩანს ყველაფერი — ნაკლიც და პლუსიც.





AFP

სამუელ ეტოოს ეგვიპტეში „ჩელსის“ მზვერავები უთვალთვალებდნენ

# მზაკვარი მეკობრის თვალები

## სტემფორდ ბრიჯი შეიძლება ქართულ სტადიონად იქცეს

**ახლოვდება** „ჩელსი“ — „ბარსელონას“ თამაში და ხმაურობაც დაძრულია.

მაგალითად, ვრცელდება ხმა, თითქოს მაურინიუს ებრძანებინოს, რომ ამ მატჩისთვის „სტემფორდ ბრიჯის“ ბრწყინვალე გაზონი განგებ წაახდინონ, რათა კატალონიელებმა იქ ბურთი თავისებურად ვერ გააგორონ.

„ბარსას“ გაოგნებული ფეხბურთელები ამბობენ, ამგვარ ვერაგობას ვერ წარმოვიდგენთო, მაგრამ უფრო პერსპექტიული ამბავი მათ უფროსობას წინ ელის: სწორედ ამ თამაშის წინ „ჩელსიდან“ ჟონავს ხმა, რომ მაურინიუს სამუელ ეტოო სჭირდება და ზაფხულში 30 მილიონ გირვანქას შესთავაზებს კატალონიელებს.

„ჩელსის“ მზირიც გაუგზავნია აფრიკის თასზე, სადაც ეტოომ კამერუნელებს ულიდერა და 4 თამაშში 5 გოლი გაიტანა.

ბარსელონაში კი ამბობენ, რომ ამ ზაფხულს დიდი ოთხეულის ერთ-ერთი წევრი გაიყიდება. ოთხეული ნაცნობია: დეკუ, რონალდინიო, ეტოო, ლეო მესი. ამის საფუძველი ის ყოფილა, რომ „ბარსას“ აუცილებლად უნდა ტიერი ანრი, რომელსაც თავისივე „არსენალი“ ბრწყინვალე პირობებს სთავაზობს, კატალონიელებთან საიდუმლო მოლაპარაკებებში კი 30 მილიონ გირვანქაზე მეტს ითხოვს. ეტოოს გაყიდვის შემთხვევაში კი მილიონები გამოუთავისუფლდება.

შარშან „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბარსამ“ 2:4 წააგო, ეტოომ კი იჩხუბა და სტადიონის გვირაბში „ჩელსის“ ერთ-ერთ მუშაკსაც შემოარტყა ხელი. მისი ამჟამინდელი ხელფასი „კამპ ნოუზე“ კვირაში 100 ათას დოლარზე ცოტა მეტია, ოღონდაც ეს იმის ნახევარიც არ არის, რასაც რონალდინიო იღებს.

მისტერ ჩელსკის კი ხელფასის პრობლემა არა აქვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# შვილი დააყენა, ტო...

**ორშაბათ** ღამეს „ვესტ ჰემმა“ „ბირმინგემს“ 3:0 მოუგო და „აპტონ პარკის“ გუნდმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა.

ოღონდაც ამ თამაშში სხვა რამეც მოხდა: როცა „ბირმინგემის“ ნახევარმცველმა ნიკი ბათმა (ვინც სხვა სამოსში ბევრჯერ გვინახავს) თავისი გვარი განაცხადში ვერ იპოვა, კლუბის სასტუმრო მიატოვა და შინ წავიდა.



ნიკი ბათი „ბირმინგემიდან“ გაიქცა



სტივ ბრიუსის შვილმა, ალექს ბრიუსმა ენტონი ფერდინანდს წაუსაყელოვა

მის მაგივრად ძირითადში მოხვდა ბირმინგემელთა მენეჯერის სტივ ბრიუსის ვაჟი ალექსი, რომელიც ხელობით მცველია და არა ნახევარმცველი.

ბრიუსმა თქვა, რომ საქმის გასარჩევად დაიბარებს ბათს და დასჯის კიდეც მას. ბათი ერთწლიანი ქირითაა ბირმინგემში, ისე კი, „ნიუკასლში“ ირიცხება.

„მან ნებართვაც არ ითხოვა — თქვა ბრიუსმა — წინა თამაში თასზე „რიდინგის“ წინააღმდეგ ნიკიმ გამოტოვა, ფეხი სტკიოდა. ვიფიქრე, დაისვენოს-თქო. მესმის, რაც ეწყინა, მაგრამ ვერ გავამართლებ. 48 საათს ვაძლევ, რომ მოვიდეს“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიუსუმცროსს აქამდე მხოლოდ სამი წუთი ეთამაშა პრემიერლიგაში. „ვესტ ჰემში“ კი კვლავაც მხნეობს მარლონ ჰარვუდი, თუმცა იქ ახალი ვარსკვლავიც ჩანს — დინ აშტონი.

ბათი იქით იყოს და, შაბათს მარკ ვიდუკამაც მიატოვა „რივერსაიდი“, როცა „მიდლსბრო“ — „ჩელსის“ 11 კაცში ვერ იპოვა თავი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# პატარა ადუს დრო

**არის** ამერიკაში ფეხბურთელი ფრედი ადუ. ის 16 წლისაა და მეიჯორ ლიგაში თამაშობს. ყრმა ფრედი იმედოვნებს, რომ იმ 23 ამერიკელს შორის იქნება, ვინც მსოფლიო თასზე დაიცავს თავისი ქვეყნის ღირსებას.

მისი აგენტი რიჩარდ მოცკინი კი იმედოვნებს, რომ შემოდგომიდან პატარა ადუ ევროპაში ითამაშებს.

ამბობდნენ, თითქოს ადუ „მანჩესტერში“ მოხვდებაო, თუმცა, სერ ალექსი უარობს, ჩემმა სკაუტებმა მისი თამაში კი ნახეს, მაგრამ ამ ჯერზე მის ყიდვას არ ვაპირებთო. საერთოდ კი, ინგლისში აუდს მოხვედრა ჯერჯერობით ისედაც გაჭირდება, რადგან იქ რომ უცხოელმა შრომის უფლება მიიღოს, ნაკრებში გვარიანად უნდა თამაშობდეს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ფრედი ადუ

# გრეგორიანელობას მადიარებიც აპირებენ

**უნგრეთის** ნაკრების მწვრთნელად შესაძლოა ინგლისელი ჯონ გრეგორი დანიშნონ. თუ ასე მოხდა, იგი ლოთარ მათეუსის ადგილს დაიკავებს, რომელიც გასული წლის ბოლოს მოხსნეს, რადგან გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა.



ჯონ გრეგორი

„მოლაპარაკება მიმდინარეობს. უახლოეს ათ დღეში ყველაფერი გაირკვევა“ — განაცხადა გრეგორიმ. ინგლისის ნაკრები უკვე მორიგებულია უნგრეთთან ამხანაგურ შეხვედრაზე 30 მაისს და ჯონ გრეგორის უნგრული დებიუტიც ალბათ გაზაფხულის მიწურულს შედგება.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა სამწვრთნელო კარიერა „პორტსმუთში“ დაიწყო და „პლიმუთში“ გააგრძელა. 1996 წელს „უიკომბი“ ჩაიბარა, მერე კი „ასტონ ვილას“ თავკაცი გახდა. მის ხელში „ასტონ ვილამ“ ოთხი სეზონი ითამაშა და პრემიერლიგაში მერვე ადგილზე ქვევით არ ჩასულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვუდგეიტს გული უკაჭკაჭებს





**ჯონათან ვუდგეიტზე** თქვეს, რომ სეზონის ბოლოს „ნიუკასლ იუნაიტედს“ დაუბრუნდება. ეს ცნობა ინგლისურმა „დეილი ექსპრესმა“ გაავრცელა და დაგვეთანხმებით, ერთი შეხედვით უცნაურია, რადგან კოშმარული ტრავმების გამო გაცდენილი სეზონის შემდეგ მცველმა, როგორც იქნა მადრიდის „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება დაიწყო. მიუხედავად ამისა, „დეილი ექსპრესის“ მტკიცებით სეზონის ბოლოს ვუდგეიტი 6 მილიონი ევროს საფასურად „კაჭკაჭებს“ მიაშურებს.

ასეთი კომბინაცია „რეალისთვის“ ფინანსურად წამგებიანია, რადგან 2004 წლის ზაფხულში „სამეფო კლუბს“ ამ ფეხბურთელში 13,4 მილიონი აქვს გადახდილი, თუმცა ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში მადრიდელებისთვის ფული მთავარი არ არის, რადგან მათ, ინგლისელი ფეხბურთელის დატოვება აღარ უნდათ და ფულში წაგებაზეც თანახმანი არიან.

„ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარე ფრედი შეპერდი კი ასე ბრძანებს: „ჯონათანს ჩვენი გუნდი დღესაც მთელი გულით უყვარს და მეც შევუთვალე, რომ ექსნომრიან მაისურას საგანგებოდ მისთვის გადავდებ. ის დღემდე ურეკავს ბიჭებს და მეგობრობს მათთან.“

**პაპუნა ძედია**

# ნისტელროიმ ისტორიას მიუკაკუნა

რუუდ ვან ნისტელროი „მანჩესტერის“ დიადთა სიას უახლოვდება.



გასულ შაბათს „პორტსმუთის“ კარში მან თავისი 148-ე მანჩესტერული გოლი გაიტანა. კლუბის ისტორიის წიგნებში სულ რვა ფეხბურთელი მოითვლება, ვისაც 150 და მეტი ბურთი გაუტანია, ამიტომ რუდი კბილებს ილესავს და საშაბათოდ „ლივერპულთან“ სათასო თამაშში გოლზე ოცნებობს“:

„კარგი ნიშნულია. ოღონდაც „ენფილდზე“ გამატანინა და ამ კვირაში მეტი არაფერი მინდა. საერთოდაც, ფორმაში შევედით“.

**ირაკლი გამყრელიძე**

AFP



# დედას დაუჯერა, მიდო?

## ფახლავასავით ტკბილ ოჯახში გაზრდილი ძალიანაც მჟავეა

*აჰმედ ჰოსამი, იგივე მიდო. ფეხბურთელი, რომელსაც ნახევარი ეგვიპტე ეთაყვანება, მეორე ნახევარი კი სამშობლოს შემარცხვენლად მიიჩნევს. რატომ? ძმები ინძაგებით მეტისმეტად ქალური ტიპიაო. ეგვიპტეში კი ასეთი კაცები ნაკლებად უყვართ. მიდო აფრიკის ეროვნებათა თასზე გმირობას აპირებდა, მაგრამ პირიქით გამოვიდა. სენეგალთან ნახევარფინალურ მატჩში მწვრთნელმა ჰასან შეჰატამ მისი შეცვლა მოინდომა, რასაც კინაღამ ჩხუბი მოჰყვა. მიდომ შეჰატასკენ გაიწია, რისთვისაც ექვსი თვით ნაკრებიდან მოკვეთეს, მაგრამ მერე მოიბოდიშა და დააბრუნეს. ფინალურ მატჩში კოტ დივუართან სათადარიგოებში იჯდა და ნამატჩევს თასიც მოიხელთა*

### განათლება: გაუნათლებელი

მიდოს სკოლაში არ უსწავლია. არა, მშობლებმა კი მიიყვანეს და მერე ეგონათ, რომ შვილი სწავლობდა, მაგრამ ცდებოდნენ. რაკიღა მომავალი ფეხბურთელი სწავლაზე მწყრალად იყო, სკოლაში სიარულსაც არ თვლიდა საჭიროდ. ჰა, ჰა, კვირაში ერთხელ შეივლიდა ხოლმე.

სამაგიეროდ, მიდო ბავშვობიდანვე შოულობდა ფულს, რასაც ორი წყარო ჰქონდა: პირველი: მიდოს მამა ფეხბურთელი იყო, „ზამალეკში“ თამაშობდა და ყოველი მოგებული თამაშის მერე შვილს სამ ეგვიპტურ გირვანქას აძლევდა. ჩვენთვის უფრო ნაცნობ ვალუტაზე რომ გადავიყვანოთ, ეს დაახლოებით ერთი დოლარია.

მეორე: ეგვიპტელი ბავშვები ქუჩაში ფეხბურთის თამაშს უბრალოდ ინტერესზე კი არა, ფულზე ამჯობინებდნენ და მიდო, რომელსაც ფეხბურთელობის ნიჭი, ცხადია, ბავშვობაშიც არ აკლდა, ამ გზით ბავშვის კვალობაზე კარგა ბლომად შოულობდა.

ცნობილია ისიც, თუ რაში ხარჯავდა მიდო ყომარბურთით ნაშოვნი ფულის ნაწილს. ფოსტალიონს უხდიდა, რათა მას სკოლიდან მშობლების სახელზე გაგზავნილი წერილები არ მიეტანა.

მთელ ამ ისტორიაში კი გამოცანად რჩება, თუ როგორ მოახერხა მიდომ სკოლის ატესტატის აღება. არადა, ფაქტია, რომ მისცეს. ეგებ იმიტომ, რომ ჩვიდმეტი წლისა უკვე ნაკრების ფეხბურთელი იყო და გოლი სადებიუტო მატჩშივე გაიტანა?

### სხვისი შვილი, როგორც მისი შვილი

როგორც აღვნიშნეთ, მამა-ჰოსამი თავის დროზე „ზამალეკში“ თამაშობდა და შვილმაც პროფესიული კარიერა ამ კლუბში დაიწყო. მიდო მაშინ 14 წლის იყო და როგორც პროფესიონალს, ქუჩაში აღარ ეყომარებოდნენ. თუმცა მას ეს აღარც სჭირდებოდა. ხელფასი 200 ევრო ჰქონდა თვეში — გაცილებით მეტი, ვიდრე ქუჩის ფეხბურთით შოულობდა. ამ ფულს კი ტანსაცმელში ხარჯავდა.

სწორედ „ზამალეკში“ დაარქვეს აჰმედ ჰოსამს მიდო. მწვრთნელის შვილს ერქვა მიდო და რაკი მწვრთნელს აჰმედიც ძალიან უყვარდა, თავისი შვილის სახელს ეძახდა. სხვათა შორის, მიდო ეგვიპტეში ძალიან გავრცელებული სახელია. ხოლო როცა ჩვენი წერილის გმირი ბელგიურ „გენტში“ გადავიდა, თავად მოითხოვა, მიდო დამიძახეთო.

ცხოვრება თითქოს აეწყო, მაგრამ შვილის ბელგიაში გაშვებიდან მცირე ხანში მამა-ჰოსამს თავსატეხი გაუჩნდა. შვილი ყოველდღე ურეკავდა და ეუბნებოდა, აქ გაძლება აღარ შემიძლია და სახლში უნდა დავბრუნდეო. მამა-ჰოსამს ცალკე შვილის დარდი ჰქონდა, ცალკე პატივმოყვარეობისა. ხალხი იტყვის, მიდომ ვერ ივარგა და გამოაგდეს, არავინ დაიჯერებს, რომ ნოსტალგიამ დააბრუნა სამშობლოშიო.

საბოლოოდ, მამა-ჰოსამმა ცოლს ხელი მოჰკიდა და საცხოვრებლად გენტში გადაბარგდა. ოჯახურმა გარემომ მიდო დაამშვიდა და „გენტიდან“ აბარგება გადააფიქრებინა. მოგებული დარჩა მამაც — კლუბმა მას მოედნების მომვლელის თანამდებობა უბოძა.

### მუსლიმი ებრაელებთან

გენტში თამაშისას მიდოს იქაური გოგო შეუყვარდა. თან უბრალო გოგო კი არა, თვით „მის ბელგია 2000“. შეყვარებულები მალიმალ იძახდნენ, დაქორწინება და ბევრი შვილის ყოლა გვინდაო. ეგებ მართლაც უნდოდათ, ამას ახლა ვეღარავინ შეამოწმებს.

მოკლედ, მიდომ საცოლე ოჯახში მიიყვანა. თეთრი ქალის დანახვა მამა ჰოსამს დიდად ეამა და შვილს არჩევანი მოუწონა. აი, დედა კი წინააღმდეგი წავიდა, ქრისტიანს ოჯახში ვერ შემოვუშვებო. აუცილებლად ჩვენი რჯულისა უნდა იყოს და უთუოდ ეგვიპტელიო.

მიდო მოგვიანებით ირწმუნებოდა, ჩემი ბელგიელი საცოლე სიგიჟემდე მიყვარდაო, თუმცა დედის ნებას დაჰყვა — მისი ცოლი, იოსრე, ნამდვილი ეგვიპტელი და მართლმორწმუნე მუსლიმია.

მეორე მხრივ, რელიგიას მიდოსთვის ხელი არ შეუშლია, სათამაშოდ „აიაქსში“ წასულიყო. „აიაქსი“ ხომ ებრაელების დაარსებული გუნდია.

ჩემს სამშობლოში ებრაელები არ უყვართ — უთქვამს მიდოს — თუმცა პირადად მე ამ სიძულვილთან საერთო არაფერი მაქვს. ისრაელი, პალესტინა... მთავარია, რომ ეგვიპტეში ომი არ არის, დანარჩენი კი მე არ მეხება.

„აიაქსამდე“ მისი ყიდვა „ანდერლეხტს“ სურდა. ფეხბურთელიც არ იყო წინააღმდეგი, მაგრამ კონტრაქტი არ გაფორმდა. ბრიუსელელთა მწვრთნელს უთქვამს, მაგას თავი ყოვლისშემძლე ჰგონია და დაგვიმტკიცოსო. მიდომ დამტკიცებას „ანდერლეხტში“ გადასვლაზე უარის თქმა არჩია.

მერე „აიაქსში“ ჩხუბა რონალდ კუმანს, რომელმაც გაბედა და 30-ე წუთზე შეცვლა. გაბრაზებულმა მიდომ კი ჟურნალისტებს უთხრა, ინგლისში და იტალიაში მეხვეწებიან გადასვლას და როგორც ვატყობ, დაფიქრება მომიწევსო. „აიაქსშივე“ იყო: გოლი რომ გაიტანა, მან და ვან დერ მეიდემ ასე აღნიშნეს: ვითომ — მარიხუანას ეწეოდნენ. შენიშვნა რომ მისცეს, დიდი ამბავი, რა მოხდა მერეო.

მოკლედ, ერთ სეზონზე მეტ ხანს ვერსად აიტანეს. „აიაქსიდან“ ვიგოს „სელტას“ მიაშურა, სადაც ნახევარი წელი გაატარა, მერე კი „მარსელში“, დიდიე დროგბასთან აღმოჩნდა. ფრანგულ კლუბში ერთი სეზონი დარჩა და 22 მატჩში 7 გოლი მიითვალა, მაგრამ ვერც იქ მოისვენა. „მარსელიდან“ იტალიურ „რომში“ გადაბარგდა და სულ რვაჯერ ათამაშეს. ჭირვეული მიდო რომაელებმა „ტოტენჰემს“ გადაულოცეს, რომელშიც უკვე მეორე სეზონს ატარებს. პირველ წელს ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა იშტაზე მოვიდა და გასულ შემოდგომაზე „ტოტენჰემის“ ლიდერად იქცა. აჰმედ ჰოსამმა 20 მატჩში ცხრა გოლი მიითვალა და მწვრთნელ მარტინ იოლსაც ეგვიპტელის დიდად ეიმედება.

**გიორგი დარჯანია**



AFP

მიდომ ჰასან შეჰატას ხელი გაუშალა

### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდი ენდი კოული „ჩარლტონთან“ მატჩში დაშავდა და დაახლოებით ერთი თვე ვეღარ ითამაშებს. 34 წლის კოულს, რომელმაც ამ სეზონში 10 გოლი გაიტანა, მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ. ენდი კოულის გარდა ჩინელი სუნ ჟიხაიც ტრავმირებულია და მწვრთნელ სტიუარტ პირსს სადარდებელი გაუჩნდა: „აღარ ვიცი, რა ვიღონო. ტრავმებმა დაგვტანჯეს. ერთნი გამოკეთდნენ და მიხაროდა, ახლა კი სხვები დაშავდნენ“.

**გერმანული** „კიოლნის“ მეგოლე ლუკაშ პოდოლსკიმ უარყო ჭორი, თითქოს მას „ბაიერნთან“ წინასწარი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. „მსგავსი არაფერი მომხდარა — თქვა პოდოლსკიმ — კიოლნელი ვარ და ამ კლუბს დიდად ვაფასებ. ამიტომ აქაურების დაუკითხავად ნაბიჯს არ გადავდგამ. ჩემი ბრალი არ არის, რომ სხვადასხვა ბობოლა კლუბებთან მაკავშირებენ. ახლა მხოლოდ „კიოლნზე“ ვფიქრობ, რომელსაც ბუნდესლიგაში დასარჩენად უნდა დავეხმარო“.

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ არგენტინული „ბანფილდის“ გაბრიელ პალეტა შეიძინა, რომელიც თავის ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. პრემიერლიგელებმა მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და ფეხბურთელი გუნდს ამ სეზონის დასრულებისთანავე შეუერთდება. გაბრიელ პალეტამ 33 ბანფილდურ მატჩში 5 გოლი გაიტანა 2005-ში კი მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე კარგი თამაშით გამოირჩა.

**იტალიური** „ინტერის“ ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი „აიაქსთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს კოჭის ტრავმის გამო გამოტოვებს. ეს ამბავი კლუბის ვებ-გვერდმა გაახცხადა. ვერონი „იუვენტუსთან“ შეხვედრაში დაშავდა და შეცვალეს. მის გამოჯანმრთელებას სამი კვირა დასჭირდება. არგენტინელ ფეხბურთელს დავიდ პიზარო ან კრისტიანო ძანეტი შეცვლის.

**ინგლისური** „ჩელსის“ თავდამსხმელი დიდიე დროგბა დაშავებულია და შესაძლოა, „ბარსელონასთან“ საჩემპიონთალიგო შეხვედრაში გუნდს დააკლდეს. აფრიკის თასიდან დაბრუნებულ კოტ დივუარელ ფეხბურთელს მუხლის ტკივილი აწუხებს. „ამ დროისათვის მხოლოდ 60 პროცენტით ვარ მზად — თქვა დროგბამ — დასვენება და მკურნალობა მჭირდება“.

**ესპანური** „ვალენსიას“ ფორვარდი პატრიკ კლუივერტი შესაძლოა ორთვენახევარით დააკლდეს გუნდს. ერთი კვირის წინ კლუივერტის ამბავი უფრო მსუბუქი იყო — 21 დღე მკურნალობა დასჭირდებაო, მაგრამ გუშინ გაცხადდა, რომ ჰოლანდიელს ათი კვირის განმავლობაში იძულებით დასვენება მოუწევს.

# ცოტა რამ ოლიმპიადაზე და მთავარი: ერთ დროს ჰოკეისტი შევჩენკო ჟურნალისტების ჯინაზე მილანში სამუდამოდ რჩება


AFP

*ტურინის ზამთრის ოლიმპიადას მთელი მსოფლიო თუ არა, პლანეტის ნახევარი მაინც ადევნებს თვალს. მათ შორის არიან ფეხბურთელებიც. მაგალითად, „იუვენტუსის" ფრანგ ნახევარმცველ პატრიკ ვიეირას უთქვამს, ოლიმპიადა ჩემს ქალაქში ტარდება და ადამიანი გიჟი უნდა იყო, ასეთი ცოცხლად ერთხელ მაინც არ ნახოო. არც „მილანის" უკრაინელი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკოა „გიჟი". „შევას" ოლიმპიადა დიახაც რომ აინტერესებს, მაგრამ ერთი პრობლემა აქვს — დროის უქონლობის გამო ჯერჯერობით მილანიდან ტურინში ჩასვლას ვერ ახერხებს. თუმცა, ერთ დროს ჰოკეისტი შევჩენკო ვინძლო დღეს უკვე ტურინშიც იყოს...*

— ოლიმპიადას, რა თქმა უნდა, ვუყურებ და დიდი სიამოვნებითაც. ჯერ ძირითადად ტელევიზორით, მაგრამ ერთი-ორჯერ ტურინში აუცილებლად ჩავალ. ვნახოთ, „მილანის" გადატვირთული კალენდარი რამდენად შემიწყობს ხელს. ერთი ნაღდად ვიცი, ჰოკეის მატჩებს აუცილებლად დავესწრები, ან ჯგუფური ტურნირისას, ანაც მეოთხედფინალს. უკრაინის დელეგაციაც უნდა მოვინახულო.

**— იტალიაში ფეხბურთია საკმაოდ პოპულარული, რომელიც სპორტის სხვა სახეობებს აშკარად ჩრდილავს. ქვეყანაში ოლიმპიადისადმი ინტერესი რამდენად იგრძნობა, თუნდაც თქვენ თანაგუნდელებში?**

— ფეხბურთი, ცხადია, უკონკურენტოა, მაგრამ მერწმუნეთ, ტურინის ოლიმპიადას აქაურთა ინტერესი ნამდვილად არ აკლია, სახელმწიფო ტელევიზიაც ოლიმპიადის ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს. ფაქტობრივად, ყველაფერს დეტალურად აშუქებს. რაც შეეხებათ ჩემს თანაგუნდელებს, ალბათ, ისინიც უყურებენ ტელეტრანსლაციებს. ვერ გეტყვით, ჩემთან ერთად ვინმე თუ წამოვა ტურინში, მაგრამ, ვფიქრობ, კახა კალაძე აუცილებლად იქნება.

**— იყო დრო, ჰოკეისაც თამაშობდით.**

— ვთამაშობდი და თანაც როგორ. ჰოკეის კიევში მივდევდი, ასე ვთქვათ, მოყვარულის დონეზე. ძალიან მესიამოვნა, ჰოკეისტის ფორმის სრული კომპლექტი რომ მაჩუქეს.

**— ბოლოს ციგურებზე როდის იდექით?**

— კიევიდან რომ წამოვედი, მაშინ, შვიდი წლის წინ. ჯერ ერთი, დრო არ მქონდა და მეორეც, ჰოკეი იტალიაში არაპრესტიჟული სპორტია, ყურადღებას თითქმის არ აქცევენ.

**— თხილამურები გიცდიათ?**

— ბავშვობაში ვსრიალებდი, მაგრამ ფეხბურთმა მიმატოვებინა.

**— ალბათ, მოთხილამურეთა შეჯიბრსაც უყურებთ...**

— შეძლებისდაგვარად, არც მაგას გამოვტოვებ, თუმცა სხვა სახეობებიც მაინტერესებს — განსაკუთრებით ისინი, სადაც უკრაინელები გამოვლენ, ხომ უნდა ვუქომაგო.

**— კეთილი, ახლა ფეხბურთზეც ვთქვათ. სერია A-ს ბოლო ტურის მატჩი „რეჯინასთან" ტრავმის გამო გამოტოვეთ...**

— სერიოზული არაფერია. უბრალოდ, კუნთი მქონდა დაჭიმული.

**— „მილანმა" ბოლო ორი თამაში დიდი ანგარიშით მოიგო, მანამდე კი უჩვეულოდ მოისუსტა. გუნდში პრობლემებია?**

— არანაირი. გეთანხმებით, ბლომად ქულები დავკარგეთ, მაგრამ ეს უფრო ხანმოკლე მოდუნების ბრალია. ახლა ყველანი იმაზე ვართ კონცენტრირებულნი, რომ დაკარგული მაქსიმალურად ავინაზღაუროთ.

**— მაგრამ „იუვენტუსი" საგრძნობლად გისწრებთ. ეს რას ნიშნავს, „იუვე" „მილანზე" გაცილებით ძლიერია, თუ...**

— გამოდის, რომ დღეს ტურინელები ჩვენზე ძლიერები არიან. იყო მატჩები, სადაც ფაბიო კაპელოს გუნდს თამაში არ მისდიოდა, მაგრამ ქულებს მაინც არ კარგავდა, ესე იგი, ძლიერები არიან. ჩვენ კი ამ მხრივ არ გვიმართლებს.

**— ფიქრობთ, რომ სკუდეტოს უკვე დაემშვიდობეთ?**

— ამაზე ფიქრით ტვინის ჭყლეტას ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენ ყველა დარჩენილ თამაშში მოსაგებად გავალთ მინდორზე და რაც გამოგვივა, ბოლოს ვნახავთ.

**— ჩემპიონთა ლიგაზე „მილანის" შანსები?**

— ურიგო ნამდვილად არ გვაქვს, თუნდაც შარშანდელი მწარე ფინალის გამო გვმართებს რევანში, მაგრამ მანამდე „ბაიერნს" უნდა ვძლიოთ.

**— მერედა, მიუნხენელებს გაივლით?**

— დიდი იმედი მაქვს, დაუმარცხებელი არავინაა.

**— „ტრევიზოსთან" 5:0 მოგებულ მატჩში დუბლი შეასრულეთ, რამაც ისტორიული შედეგი მოგიტანათ — „მილანის" ყველა დროის მეგოლეთა შორის ახლა მეორე ხართ 165 გატანილი ბურთით, ლეგენდარული ჯანი რივერა ჩამოიტოვეთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

— ჯანი რივერა რომ მართლა ცოცხალი ლეგენდაა, ამაში არაერთხელ დავრწმუნდი. მე კი ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, მაგრამ ჩემთვის პირადი ჯილდოები უმთავრესი ნამდვილად არ არის, მთავარი გუნდური ტიტულებია. რომ არა ჩემი თანაგუნდელები, ამ შვიდი წლის მანძილზე ამდენს ნამდვილად ვერ მივაღწევდი.

**— რივერა ჩამოიტოვეთ. ახლა თქვენზე წინ მხოლოდ კიდევ ერთი ლეგენდა, შვედი გუნარ ნორდალია 221 ბურთით. მას დაეწევით?**

— ძალიან ძნელია და კიდევ ერთხელ ვიტყვი, ნამდვილად არ ვფიქრობ პირად მიღწევებზე. როგორ შეიძლება იფიქრო? 1999 წელს, როცა კიევის „დინამოდან" „მილანში" გადმოვედი, კლუბის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცოდი, წარსულიც და აწმყოც. მაგრამ ჩემთვის მაშინ მთავარი გუნდში ადგილის დამკვიდრება იყო. მსურდა, „მილანისთვის" თუნდაც ოდნავი სარგებელი მომეტანა და სერია A-ში ჩემი კვალი დამეტოვებინა. ახლა უკვე ჩანს, რომ რაღაც გავაკეთე, მაგრამ ჩემთვის მთავარი საკუთარი ბელი მაინც ერთია — ვთამაშო ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ გუნდისთვის. მოკლედ, ნორდალის რეკორდზე ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ.

**— პრესაში თქვენზე გამუდმებით წერენ, ანდრეი შევჩენკო „მილანს" მალე დატოვებს და ლონდონის „ჩელსიში" გადავაო...**

— წერენ იმიტომ, რომ სხვა საწერი არ აქვთ, ჟურნალ-გაზეთები ხომ უნდა გაავსონ. კითხვას აზრი არ აქვს, იმიტომ, რომ სიმართლეს ვერ აღმოაჩენ. ამიტომაც ვარ მშვიდად. არ მიაქციო ყურადღება ჭორებს, აი, საუკეთესო გამოსავალი. ხოლო თუ მედიას ესეც არ დააკმაყოფილებს, ხმამაღლა ვიტყვი: „მილანთან" მალე სამუდამო კონტრაქტის გაფორმებას ვაპირებ!

*სპორტ-ექსპრესი*

| „მილანის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლეთა ათეული: | | |
|---|---|---|
| გუნარ ნორდალი | 1948-1956 | 221 |
| ანდრეი შევჩენკო | 1999-? | 165 |
| ჯანი რივერა | 1960-1979 | 164 |
| ჟოზე ალტაფინი | 1958-1965 | 161 |
| ალდო ბოფი | 1936-1945 | 136 |
| მარკო ვან ბასტენი | 1987-1994 | 124 |
| ჯუზეპე სანტაგოსტინო | 1921-1932 | 106 |
| პიერინო პრატი | 1966-1973 | 102 |
| ლუის ვან ჰეგე | 1910-1917 | 98 |
| ალბერტო ბიგონი | 1971-1980 | 90 |

# ნუ გააფრანკეთ საქმე

## მილანის დაცვაში დარისპანის გასაჭირია: ბალზაკის ასაკის ქალის ასაკი



**ფრანკ რაიკარდმა** განაცხადა, რომ „მილანზე" წამითაც არ ფიქრობს. ამას რომ ამბობდა, ჰოლანდიის ნაკრებისა და ხსენებული „მილანის" ყოფილი ვარსკვლავი, დღეს კი წარმატებული „ბარსელონას" მწვრთნელი თავის დიდებისდროინდელ გუნდში თავკაცად გადასვლაზე ფიქრს გულისხმობდა, თორემ ისე, 15 მარტს ფეხბურთიდან დემეტრიო ალბერტინის გაცილება სწორედ „მილანისა" და „ბარსელონას" თამაშით რომ გალამაზდება, ეს, რამდენადაც ვიცით, უკვე ბეჭედდასმული ამბავია.

„გულწრფელად ვამბობ, ჩემი გონება მხოლოდ „ბარსათია" დაკავებული, ხოლო „მილანის" ხელმძღვანელობა კარლო ანჩელოტისა და მაურო ტასოტის საქმეა. სხვა სიტყვებით, „მილანის" მწვრთნელობა ორი მიზეზის გამო არ მაინტერესებს: ერთი რომ, თავად დიდ გუნდში ვმუშაობ და მეორე, ანჩელოტი და ტასოტი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან".

აქვე დავძინოთ, რომ იმავე წრიდანაა ზემოხსენებული დემეტრიო ალბერტინიც. ეს ოთხეული ამ თხუთმეტი წლის წინ „მილანში" თამაშობდა და დიდი წარმატებითაც.

რაიკარდზე კი დამატებით იმას მოგახსენებთ, რომ მან ახლახან „ბარსელონასთან" 2009 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

რაც შეეხება „მილანს", მწვრთნელისა რა მოგახსენოთ და, დაცვის პრობლემა, როგორც ჩანს, მართლა აქვს, მით უფრო ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან" მეოთხედფინალური შეხვედრის წინ. საქმე ის გახლავთ, რომ დიდებულ მარჯვენა მცველს, ვეტერან ბრაზილიელ კაფუს მენისკი აღმოაჩნდა და ამ დღეებში ოპერაციას იკეთებს. კაფუ საოპერაციო მაგიდაზე სამშობლოში დაწვება, თუმცა „მილანის" ექიმის, მასიმილიანო სალას თანდასწრებით. აღსანიშნავია, რომ წინასწარ ვერავინ ამბობს, რამდენი ხანი დასჭირდება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მოსაშუშებლად. ზოგადი გამოცდილების მიხედვით, თითქოს ყველაფერმა ერთ თვეში უნდა ჩაიაროს, მაგრამ პროფესიონალები ჯერ დუმან.

საერთოდ, „მილანის" დაცვას სიბერის პრობლემა აქვს. კაფუ რომ ვახსენეთ, დიდებული მცველი კი არის, მაგრამ ოცდაათს გადაცილებულია. ორმოცს მიტანებული ალესანდრო კოსტაკურტა და ოცდაათს გადაცილებული იაპ სტამი ზაფხულში „აიაქსში" მიდიან. ასევე ორმოცს მიტანებული პაოლო მალდინი ყველა ღონეს ხმარობს, თავი ყინჩად დაიჭიროს, მაგრამ მუხლის ტკივილს და ასაკს მაინც საეჭვოა, გაექცეს.

„ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. გუნდთან ერთადაც აგერ უკვე ოცი დღეა ვვარჯიშობ, მაგრამ პატარა პრობლემებს მაინც ვგრძნობ — მუხლი მტკივა, რის გამოც საუკეთესოდ ვერ ვთამაშობ, დღეს ჩემი შესაძლებლობების 80 პროცენტს ვავლენ და იმედი მაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის 100 პროცენტით ვიქნები მზად" — იხტიბარს არ იტეხს კაპიტანი.

**პაპუნა ძედია**

## უეფას თასი 2005-2006. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

# უეფარდა დღეს გაიხსნება

| | | |
|---|---|---|
| შალკე (გერმანია) | — | ესპანიოლი (ესპანეთი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | მონაკო (საფრანგეთი) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | — | სტიაუა (რუმინეთი) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | — | სტრასბური (საფრანგეთი) |
| ლილი (საფრანგეთი) | — | შახტარი (უკრაინა) |
| უდინეზე (იტალია) | — | ლანსი (საფრანგეთი) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | — | სევილია (ესპანეთი) |
| ბეტისი (ესპანეთი) | — | ალკმაარი (ჰოლანდია) |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | — | ზენიტი (რუსეთი) |
| ბოლტონი (ინგლისი) | — | მარსელი (საფრანგეთი) |
| არტმედია (სლოვაკეთი) | — | ლევსკი (ბულგარეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) | — | რომა (იტალია) |
| ჰერტა (გერმანია) | — | რაპიდი (რუმინეთი) |




სოფიან ჩაედის (მარჯვნივ) „ჰერტაც“ და გაბრიელ ბოსტინას „სტიაუაც“ მეთექვსმეტედფინალში არიან

**გამოზამთრებული** ევროთასები გვიბრუნდება. ამ წლის ევროსეზონს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალები გახსნის, სადაც საინტერესო წყვილები არ გვაკლია. გუნდების უმეტესობაში გარკვეული სიახლეები და ცვლილებებია. ჩვენც ნელა-ნელა მივყვეთ და მატჩების წინა ამბები ვნახოთ.

გელზენკირხენის „შალკე“ „ესპანიოლს“ უმასპინძლებს და მოსაგებად ემზადება. მოგეხსენებათ, ლევან კობიაშვილის გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს — რალფ რანგნიკის ყოფილი თანაშემწე მირკო სლომკა. მან „შალკეში“ ვითარება ცოტა გამოასწორა და ახლა ბუნდესლიგის სამეულში მოსახვედრად იბრძვის. გასულ უქმეებზე „აუფ შალკეს“ ბინადრებმა „ლევერკუზენს“ სძლიეს საოცარი ანგარიშით — 7:4.

თამაში თითქოს „ესპანიოლმაც“ გამოასწორა, მაგრამ ბოლო ათ დღეში კატალონიელებმა აურიეს და ზედიზედ სამი მატჩი ისე წააგეს, კინკილა გოლიც ვერ შეაგდეს. მიგელ ანხელ ლოტინას შეგირდები შინაურ ჩემპიონატში გასავარდნ ზონას მიუახლოვდნენ და ქომაგებიც ნერვიულობენ. გუნდის მთავარი იმედი ახლახანს „ბირმინგემიდან“ ნაყიდი „დეპორტივოს“ ყოფილი ფორვარდი ვალტერ პანდიანია.

შოთა არველაძის გუნდი „ალკმაარი“ ასევე ესპანურ კლუბს, „ბეტისს“ სტუმრობს. პრიმერადივიზიონში არც სევილიელებს ულხინთ. ისინი აუტსაიდერთა შორის არიან და, წინა სეზონისგან განსხვავებით, ძალიან არადამაჯერებლად ბურთაობენ. შეგახსენებთ, რომ იანვარში „ბეტისი“ ორი არგენტინელი ფორვარდით, რობერტოთი და დიეგო ტარდელით გაძლიერდა. გუნდის ლიდერი რიკარდო ოლივეირა კი ისევ ტრავმირებულია და მიგელ ანხელ ლოზანოს უმშვენებს გვერდს ლაზარეთში.

ლუის ვან გაალის მთავარი კოზირი კი შეტევაში შოთა არველაძისა და კენეტ პერესის წყვილია. ჩვენებური ბოლო დროს განსაკუთრებულად კარგად თამაშობს და „ერედივიზიონის“ ბომბარდირებს ჩაუდგა სათავეში.

სემ ალარდაისის „ბოლტონი“, რომელიც ბოლო დროს კიდევ უფრო მოძლიერდა, ტრავმირებული ჰალილუ ფადიგასა და ივან კამპოს გარეშე შეეჭიდება „მარსელს“. კამპოს შესაცვლელად „ბოლტონმა“ ოსკარ პერესი დაიმატა. იქამდე კი გუნდში ალი ალ-აბსი და მეტიუ იანსენი მივიდნენ. იანვარში ოთხი ახალი მოთამაშით შეივსო „მარსელიც“, მაგრამ მათგან ორი ყველაზე ცნობილი — მიკაელ პაგი და ტოიფილუ მალუდა გუნდს ვერაფრით შეეშველება, რადგანაც მათ უეფას თასზე უკვე უთამაშიათ. მწვრთნელ ჟან ფერნანდეს ახლა საბრი ლამუში და ჟერომ ბონისელი აღელვებს, რომლებსაც მცირე ტრავმა აწუხებთ და ჯერ უცნობია, მატჩამდე ჩადგებიან თუ არა მწყობრში.



სამპდორია — ლანსი. ამ წყვილიდან ბრძოლას ლანსელი არუნა დინდანე (მარჯვნივ) აგრძელებს

ბევრი უთმინეს შტუტგარტელებმა გამოცდილ იტალიელ სპეციალისტ ჯოვანი ტრაპატონის, მაგრამ რაკი გუნდის თამაში ვერა და ვერ გამოსწორდა, დაითხოვეს. ახალმა თავკაცმა არმინ ვეჰმა უკვე ჩაატარა თავისი სადებიუტო მატჩი „არმინიასთან“ და წააგო (1:2). ახლა ახალგაზრდა მწვრთნელს „მიდლსბროსთან“ ელის გამოცდა.

„მიდლსბრო“ ის გუნდია, რომელმაც გასულ შაბათს „ჩელსის“ 3:0 მოუგო და ყველა აალაპარაკა. არადა, იქამდე „რივერსაიდის“ მკვიდრნი ძალიან ცუდად თამაშობდნენ. სტივ მაკლარენს განსაკუთრებული პრობლემები დაცვაში აქვს, თანაც ორი გამოცდილი ფეხბურთელი, ფრანკ კედრიუ და ჯორჯ ბოატენგი დაშავებულნი არიან.

გვარიანი ცვლილებები მოხდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ რიგებშიც. დავიწყოთ იმით, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ახლა სლავოლუბ მუსლინია და არა ვლადიმირ ეშტრეკოვი. „რკინიგზელები“ რამდენიმე ვეტერანმა დატოვა, ხოლო მივიდნენ ემირ სპახიჩი, უინსტონ პარკსი, ლარი კინგსტონი, დრამან ტრაორე და მარიან გადი. თუმც ბოლო ორი უეფას თასის განაცხადში არ შეიყვანეს.

რუსეთში ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივსაც“ სათამაშო პრაქტიკა აკლია. ეს პრობლემა არანაირად არ აწუხებს მოსკოველთა მეტოქე „სევილიას“. მეტიც, ხუანდე რამოსის გუნდი მშვენიერ ფორმაშია და ახლა პრიმერადივიზიონში მეხუთე ადგილზეა. გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ხავიერ სავიოლა. უკვე ითამაშა „აიაქსიდან“ ნაყიდმა ჟულიენ ესკუდემაც, ხოლო მაკუკულა კვლავ ლაზარეთშია.

ახალი მოთამაშე-მწვრთნელი ჰყავს „უდინეზეს“. ცუდი შედეგების გამო დათხოვილი სერსე კოზმი ვეტერანმა არგენტინელმა ფეხბურთელმა ნესტორ სენსინიმ შეცვალა. ციდან ვარსკვლავებს უდინელთა სტუმარი „ლანსიც“ არ წყვეტს. ფრანგებს განსაკუთრებით თავდასხმაში უჭირდათ, მაგრამ მათი წამყვანი ფორვარდი დანიელ კუზინი უკვე მომჯობინდა. ფორმაშია „ლიონიდან“ გადაყვანილი პიერ-ალენ ფროც.

ბრწყინვალედ ათამაშებული „რომა“ „ბრიუგეს“ სტუმრობს. იტალიელთა დანაკლისი მხოლოდ შაბანი ნონდაა, ხოლო მასპინძელთა რიგებში რამდენიმე ფეხბურთელის თამაში საეჭვოა. „გლადიატორებმა“ სერია A-ში ზედიზედ 9 მატჩი მოიგეს და იტალიის ყველა დროის რეკორდთან ძალიან ახლოს არიან. ლუჩანო სპალეტის გუნდი წარმატებულად თამაშობს იტალიის თასზეც. ასე რომ, ბელგიელებს დიდი ჯაფა დაადგებათ.

სეზონის ბრწყინვალედ დაწყების მერე აშკარა ჩავარდნა დაეტყო „თუნს“. შიდა ჩემპიონატში გუნდი მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა და ქვეყნის თასიდანაც გავარდა. რამდენიმე დღის წინ კი მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს ურს შიონენბერგერს, რომლის ადგილსაც ავსტრიელი ჰაინც პიშლი დაიკავებს.

ზამთრის შესვენებამ აშკარად ცუდად იმოქმედა „ჰამბურგზეც“. თომას დოლის გუნდი დამძიმდა. თუმცა ამის მიზეზი რაფაელ ვან დერ ვაარტის ტრავმაა, რასაც აილტონის დაშავებაც დაერთო. მიუხედავად ამისა, „ჰამბურგი“ ამჟამად ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა.

კიდევ ერთი შვეიცარიული კლუბი, „ბაზელი“, რომელიც ბოლო დროს ასევე ცუდად თამაშობს, მწვრთნელშეცვლილ „მონაკოს“ მასპინძლობს. ფრანგების მთავარი იმედი „მილანიდან“ გადაყვანილი კრისტიან ვიერია, რომელსაც უკვე გააქვს გოლები.

პრაღას კი იტალიური „პალერმო“ ეწვევა, სადაც არცთუ კარგ ფორმაში მყოფ „სლავიას“ შეხვდება. მას მერე, რაც სიცილიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯუზეპე პაპადოპულო დაინიშნა, გუნდი საგრძნობლად მოყოჩაღდა. ბრწყინვალედ ათამაშდნენ არგენტინელი მარიანო გონსალესი და „უდინეზედან“ ნაყიდი დავიდე დი მიკელე, რომლებიც გამოკვეთილ ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოს ეხმარებიან. ერთი სიტყვით, „პალერმო“ ჩეხეთში დიდი ამბიციით ჩავა.

ბოლოს, ისიც აღვნიშნოთ, რომ მეთექვსმეტედფინალის ოთხ მატჩში („ლილი“ — „შახტარი“, „შალკე“ — „ესპანიოლი“, „თუნი“ — „ჰამბურგი“ და „ბაზელი — „მონაკო“) უეფა ექსპერიმენტს ჩაატარებს. კერძოდ, მთავარ მსაჯს და მის თანაშემწეებს მიკროფონი და ყურსასმენები ექნებათ, რათა ერთმანეთს უკეთ დაუკავშირდნენ.

**გიორგი კაკაბაძე**

# BESTSELLER ეიდელმა ახალი სკანდალის იახტა შემოაცურა








**დღეს** საფრანგეთში, დახლებზე დაიდება წიგნი, რომელიც ნამდვილად გაიყიდება და თან კარგა გვარიანი ტირაჟით — ჟან-ჟაკ ეიდელის „აღარ ვთამაშობ“. ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „სარბიელი“ ხელში უჭირავს ადამიანს, რომელსაც არ ახსოვს, ვინ არის ბატონი ეიდელი. მისთვის განვმარტავთ: ეს ადამიანი ამ ცამეტი-თხუთმეტი წლის წინ „მარსელის“ ფეხბურთელი გახლდათ, შემდეგ, 1993 წლის მაისში „ვალანსიენთან“ თამაშის წინ მეტოქე გუნდის ერთ-ერთი წევრის მოქრთამვაში ამხილეს, ახლა კი იმ ამბების მოგონებითაა დაკავებული და საზოგადოებას სკანდალს სკანდალზე ესვრის.

რატომ მოქრთამა ეიდელმა მეტოქე გუნდის ფეხბურთელი, ესეც ცნობილი ამბავია, თუმცა მაინც შევეხებით, ოღონდ მანამდე ახალ ინტრიგას გეტყვით. წიგნის პრეზენტაციასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ეიდელმა განაცხადა, რომ მეტოქის მოქრთამვისა და, შესაბამისად, თამაშის ჩაწყობის შესახებ ყველაფერი იმთავითვე იცოდა „მარსელის“ კიდევ ორმა ფეხბურთელმა, დიდიე დაშანმა და მარსელ დესაიმ.

დაგვეთანხმებით, „სარბიელის“ უცნობმა მკითხველმა ეიდელის შესახებ შეიძლება მართლა არაფერი იცოდეს, მაგრამ დესაი და დეშანი რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები არიან, რომელთა ცქერაშიც მთელმა 90-იანმა წლებმა ჩაიარა, ფაქტია. ერთი სიტყვით, ავტორი წიგნისა, „აღარ ვთამაშობ“ ფრანგული ფეხბურთის სიწმინდეებს გადაწვდა და პასუხად, ცხადია, მიიღო, რომ ეს ყველაფერი მონაჩმახია.

ეიდელის დახატული სურათი ასეთია: „მარსელის პრეზიდენტის ბერნარ ტაპის იახტაზე საიდუმლო შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან ის, დეშანი, დესაი, კლუბის დირექტორი ჟან-პიერ ბერნესი და თავად ტაპი. შეხვედრას, ბუნებრივია, ტაპი წარმართავს და ამბობს, რომ მათი უახლოესი მეტოქე „ვალანსიენი“ ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე დგას, რის გამოც თავგანწირვით ითამაშებს, რაც „მარსელისთვის“, რომელსაც რამდენიმე დღეში „მილანთან“ ჩემპიონთა თასის ფინალი ელის, ძალიან საშიშია.

„ჩვენ არაფრად გვჭირდება იდიოტებივით მოქცევა და „მილანთან“ ფინალის წინ ფეხების უაზრობისთვის შეწირვა.“ — უთქვამს სიტყვა-სიტყვით ტაპის და დაუმატებია, თქვენ „ვალანსიენში“ ყოფილი ნანტელი თანაგუნდელები გყავთ და მათ უნდა მივუდგეთო. სხვათა შორის, ამ ისტორიას 1995 წელს, სასამართლოზე ადასტურებდა ზემოხსენებული ბერნესიც, თუმცა ტაპი სულ სხვა ვერსიას ამბობს:

მოქმედება იმავე იახტაზე ხდება, ოღონდ საიდუმლო შეხვედრა კი არ არის, არამედ დაახლოებით 200 ადამიანი ტრიალებს, რომელთა შორის არიან საფრანგეთის ტელევიზიის ჟურნალისტები და ოპერატორები, რომელთაც პირდაპირ იახტიდან მიჰყავთ საფეხბურთო შოუ. პლუს, დესაი და დეშანი იახტაზე არ ყოფილან. საუბარი ტაპისა და ეიდელს შორის შედგა. ტაპიმ ეიდელს უთხრა, რომ „ვალანსიენი“ მათთან გამძვინვარებით აპირებს თამაშს, რაც ყოვლად არასასურველია. მათ ეს არ უნდა დაუშვან.

ტაპი: „ჩვენ მხოლოდ დიდი რისკის თავიდან არიდება გვინდოდა. ეს კორუფცია არ იყო.“

**პაპუნა ძედია**

# გვაჩვენეთ ფეხბურთი, გთხოვთ!

**მიზეზი** ისევ კარიკატურაა. მსოფლიოს მოდებული ვნებათაღელვის ტალღა სპორტსაც გამოწვდა. გასულ ხუთშაბათს გერმანულმა გაზეთმა „ტაგეშპიგელმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რატომ უნდა ამოქმედდეს მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გერმანული ჯარი“, რომელსაც თან ახლდა მხატვარ კლაუს შტუტმანის ასეთი კარიკატურა: ოთხ ირანელ ფეხბურთელს ტანზე ყუმბარები შემოუკრავს და გერმანელ ჯარისკაცებს შორის დგანან. აქ იგულისხმება, რომ ირანელი ფეხბურთელები თვითმკვლელი ტერორისტები არიან, ამან კი გერმანიაში ირანის საელჩო აღაშფოთა და პროტესტის წერილი დააწერინა.

პროტესტის წერილში ნათქვამია, რომ ასეთი კარიკატურის გამოქვეყნება პროვოკაციაა, ძაბავს სპორტსმენთა შორის ურთიერთობას და შეურაცხჰყოფს როგორც ირანელ ხალხს, ასევე გერმანიაში მცხოვრებ ირანელებსა და ფეხბურთის ქომაგებს მთელ მსოფლიოში. შეგახსენებთ, რომ ირანის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულ 32 გუნდს შორის ერთ-ერთია.

კაცმა რომ თქვას, ამ გერმანული ცნობის აქ დამთავრებაც შეიძლებოდა, რამდენიმე საინტერესო დეტალი რომ არა. როგორც თავად კარიკატურისტმა შტუტმანმა განაცხადა, მას ირანის და ირანელთა შეურაცხყოფა გულში არც გაუვლია, ხოლო თავის ნაშრომში ირონია სულ სხვა კუთხით ჩადო.

„მე მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ქვეყანაში ჯარის ამოქმედების და დისლოკაციის შეცვლის წინააღმდეგი ვარ — განმარტა მხატვარმა — ირანელებს თვითმკვლელ ტერორისტებად არ მივიჩნევ და პირიქით, ვამტკიცებ, რომ სპორტსმენი ყველა ეროვნებისა ერთია, მათ არმია არ სჭირდებათ“.

გამოდის, რომ შტუტმანმა ამ შემთხვევაში ყუმბარაშემორტყმული ირანელები მხოლოდ იმის საჩვენებლად გამოიყენა, რომ ფეხბურთელების ასე წარმოდგენა სისულელეა.

„გაუგებრობა ყოველთვის ცუდია — დასძინა „ტაგეშპიგელის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა პატრისია ვოლფმა — თუმცა ყველაფერზე ხალხის, ქვეყნებისა და გაზეთების წინააღმდეგ კამპანიების დამფინანსებელია პასუხისმგებელი.“

მხატვარმა შტუტმანმა უკვე მიიღო სამი წერილი, სადაც მას სიკვდილით ემუქრებიან, „ტაგეშპიგელის“ რედაქციის ფოსტას კი მუქარის წერილთა ნიაღვარი შაბათ დილას მიაწყდა. როგორც გერმანულ გაზეთში ამბობენ, საკვირველიც ის არის, რომ კარიკატურა ხუთშაბათს გამოქვეყნდა და შაბათამდე არანაირი გამოხმაურება არ ჰქონია.

**პაპუნა ძედია**

**! ძალად ფილოსოფიური სიბრძნე: როცა სამყაროს კარიკატურა შექრავს, თავად სამყაროა კარიკატურა ¡**



# ექტორ კუპერს პალმა ეტყემლა

**ექტორ რაულ კუპერმა** ესპანური „მალიორკას“ მწვრთნელობა ნებაყოფლობით დატოვა. „არ მინდა, კლუბისთვის ზედმეტ ტვირთად ვიქცე. ჩემი პალმაში დარჩენა სიტუაციას ველარ გამოასწორებს. „მალიორკას“ ინტერესებისთვის გუნდში სხვა სპეციალისტის მოსვლაა საჭირო“ — განუცხადა კუპერმა ჟურნალისტებს. არგენტინელის „მალიორკამ“ 2005-ის 6 დეკემბრის მერე მარტო „ალავესთან“ გაიმარჯვა და, ცხადია, ქულათა მწირი მარაგით კუნძულელები პრიმერადივიზიონის ბოლო ადგილზე ჩაქვეითდნენ. კლუბის პრეზიდენტი ვისენ გრანდე ოკეანისგაღმელი თავკაცის დარჩენის მომხრე იყო, თუმც პალმაში კარიერის გაგრძელება თავად კუპერმა არ ისურვა. ახლა კუნძულელებს ტომი ლომპარტი გაწვრთნის, რომელმაც თავის დროზე „მალიორკა“ სეგუნდადივიზიონიდან გამოიყვანა.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 3 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.40 | 4.20 | 7.30 | 1.04 | 1.17 | 2.66 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | საუთჰემპტონი-პრესტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 16 | ქოვენტრი-უენსდი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 37 | ოლდემი-ნოტინგემი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:30 | 38 | ჩესტერფილდი-დონკასტერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 61 | ბოსტონი-ჩესტერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 62 | ოქსფორდი-მაკლსფილდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 87 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 19:00 | 88 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 19:00 | 89 | ჰართსი-მოსერუელი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 91 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 19:00 | 93 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 94 | დანფერმლაინი-სელტიკი | 8.50 | 4.60 | 1.25 | 2.98 | 1.08 | 1.00 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 18:30 | 111 | მიონხენგლადბახი-კიოლნი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:30 | 112 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:30 | 113 | კაისერსლაუტერნი-არმინია | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| 18:30 | 114 | ჰერტა-შალკე | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 18:30 | 115 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4.80 | 3.40 | 1.70 | 1.99 | 1.25 | 1.13 |
| 18:30 | 117 | ლევერკუზენი-დუისბურგი | 1.55 | 3.60 | 5.60 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 18:30 | 118 | დორტმუნდი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 120 | აინტრახტი-ჰამბურგი | 2.75 | 3:30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 20:30 | 122 | შტუტგარტი-მაინცი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 153 | შტურმი-გრაცერი | 3.10 | 3.00 | /2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 21:30 | 154 | ტიროლი-ავსტრია | 3.60 | 3:20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 21:30 | 156 | რაპიდი-მატერსბურგი | 1.40 | 3.90 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.47 |
| 21:30 | 157 | ადმირა-რიდი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 18:30 | 152 | პაშინგი-ზალცბურგი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 175 | მესინა-იუვენტუსი | 6.80 | 3.10 | 1.60 | 2.12 | 1.29 | 1.05 |
| 21:00 | 177 | ლივორნო-ინტერი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 23:30 | 178 | მილანი-კალიარი | 1.20 | 5.20 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.71 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 180 | რომა-ემპოლი | 1.35 | 4.10 | 9.50 | 1.01 | 1.18 | 2.86 |
| 18:00 | 182 | სამპდორია-ასკოლი | 1.65 | 3.00 | 6.00 | 1.06 | 1.29 | 2.00 |
| 18:00 | 183 | ტრევიზო-პარმა | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 18:00 | 184 | უდინეზე-სიენა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 18:00 | 185 | ლეჩე-რეჯინა | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 18:00 | 186 | ფიორენტინა-ლაციო | 1.65 | 3.20 | 5.70 | 1.08 | 1.27 | 2.04 |
| 18:00 | 187 | კიევო-პალერმო | 2.30 | 2.80 | 3.35 | 1.26 | 1.36 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 212 | რეალი-ალავესი | 1.25 | 4.90 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.23 |
| 21:00 | 214 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:45 | 215 | სევილია-სელტა | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 21:00 | 221 | ბარსელონა-ბეტისი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 209 | კადისი-ოსასუნა | 2.75 | 3.00 | 2.50 | 1.43 | 1.30 | 1.36 |
| 22:00 | 211 | მალაგა-მალიორკა | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 22:00 | 216 | სოსიედადი-ვალენსია | 3.20 | 3.00 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| 20:00 | 218 | რასინგი-ბილბაო | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| 23:45 | 219 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.50 | 3.00 | 2.65 | 1.36 | 1.28 | 1.40 |
| 20:00 | 220 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.95 | 3.10 | 3.85 | 1.19 | 1.29 | 1.71 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 494 | ალბასეტე-სპორტინგი | 2.10 | 2.80 | 3.55 | 1.20 | 1.31 | 1.56 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 274 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:30 | 278 | ვიტესი-პსვ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 276 | როდა-ჰერენვენი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:30 | 277 | გრონინგენი-ვალვაიკი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 15:30 | 280 | ფეიენოორდი-სპარტა | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 15:30 | 282 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 17:30 | 283 | აიაქსი-როზენდალი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 17:30 | 284 | ტილბურგი-ბრედა | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 17:30 | 285 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 18:30 | 396 | ლიტექსი-სტრასბური | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 20:30 | 397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 20:30 | 398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 399 | ბაზელი-მონაკო | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 21:00 | 400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 22:00 | 401 | ლილი-შახტარი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 22:30 | 402 | რუსენბორგი-ზენიტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 403 | შალკე-ესპანიოლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 22:15 | 404 | ჰერენვენი-სტიაუა | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 405 | უდინეზე-ლანსი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 406 | ბოლტონი-მარსელი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:45 | 407 | ბრიუგე-რომა | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 409 | თუნი-ჰამბურგი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 23:45 | 410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:45 | 411 | სლავია-პალერმო | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 567 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 568 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 569 | ჩარლტონი-ბრენტფორდი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 19:00 | 570 | პრესტონი-მიდლსბრო | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 21:40 | 571 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 572 | სტოკი-ბირმინგემი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 20:00 | 573 | ჩელსი-კოლჩესტერი | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 22:30 | 574 | ასტონ ვილა-სიტი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 419 | პარტიკი-ინვერნესი | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 426 | ანკარაგუჯუ-გაზიანთეფი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 427 | დიარბაქირი-გალათასარაი | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 428 | ტრაბზონი-დენიზლი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 434 | ლაჰტი-ჰონკა | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 20:00 | 435 | ვპს-ტურკუ | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 21:00 | 436 | მარიეჰამნი-მიუპა | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 23:35 | 440 | იურგორდენი-ლინი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 23:35 | 441 | მიდტიულანდი-სტარტი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 23:35 | 442 | ვოლერენგა-ჰამარბი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:35 | 443 | ოლბორგი-გიოტებორგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 23:35 | 444 | კოპენჰაგენი-კალმარი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:35 | 445 | ლილესტრიომი-ბრიონდბიუ | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 449 | სერო-პალმეირასი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 450 | დეპორტივო-კორინთიანსი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 23:45 | 451 | ინდეპენდიენტე-ბოლივარი | 1.60 | 3.30 | 4.85 | 1.07 | 1.20 | 1.96 |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 452 | მარაკაიბო-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 453 | ლიბერტადი-რივერ პლეიტი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| | | ჰოკეი.კაცები. ოლიმპიადა 2006 | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 14:30 | 456 | შვედეთი-ყაზახეთი | 1.06 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.59 |
| 16:00 | 457 | კანადა-იტალია | 1.03 | 6.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 3.51 |
| 18:30 | 458 | ფინეთი-შვეიცარია | 1.30 | 4.50 | 4.30 | 1.00 | 1.00 | 2.19 |
| 20:00 | 459 | ჩეხეთი-გერმანია | 1.10 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 23:00 | 460 | რუსეთი-სლოვაკეთი | 1.75 | 4.40 | 2.30 | 1.25 | 1.00 | 1.51 |
| 23:00 | 461 | აშშ-ლატვია | 1.20 | 4.80 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 2.51 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 527 | მაკედონიკოსი-კოლოსოსი | 1.15 | 12.00 | 3.90 | 1.04 | 1.00 | 2.94 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 528 | პაოკ-პანათინაიკოსი | 3.60 | 12.00 | 1.20 | 2.76 | 1.00 | 1.09 |
| 19:00 | 529 | ირაკლისი-ოლიმპია | 1.45 | 12.00 | 2.30 | 1.29 | 1.00 | 1.93 |
| 19:00 | 530 | ლარისა-პანიონიოსი | 1.60 | 12.00 | 1.90 | | | 1.64 |
| 20:00 | 531 | აეკ-არისი | 1.60 | 12.00 | 1.90 | | | 1.64 |
| 21:00 | 532 | მარუსი-ოლიმპიაკოსი | 1.80 | 12.00 | 1.65 | 1.56 | 1.00 | 1.45 |
| 21:30 | 533 | აპოლონი-პანელინიოსი | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| | | ჩოგბურთი კაცები | | | | | | |
| | | ბელგრადი | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 13:00 | 559 | ბოსოლიაცი-მინარი | 1.70 | 1.90 | | | | |
| 13:00 | 562 | კარა-სელა | 1.55 | 2.10 | | | | |
| | | კარლინგი კაცები ოლიმპიადა 2006 | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 12:00 | 486 | კანადა-დიდი ბრიტანეთი | 1.35 | 2.70 | | | | |
| 12:00 | 487 | ნორვეგია-შვედეთი | 1.45 | 2.20 | | | | |
| 12:00 | 488 | ფინეთი-ახ.ზელანდია | 1.55 | 2.25 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.75 | 2.70 | 5.50 | 1.06 | 1.32 | 1.81 |
| 10396 | ლიტექსი-სტრასბური | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 2.30 | 2.00 | 3.75 | 1.06 | 1.42 | 1.30 |
| 10398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10399 | ბაზელი-მონაკო | 2.80 | 2.00 | 3.30 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.75 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.34 | 1.54 |
| 10401 | ლილი-შახტარი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10402 | რუსენბორგი-ზენიტი | 2.30 | 2.00 | 3.85 | 1.06 | 1.43 | 1.31 |
| 10403 | შალკე-ესპანიოლი | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.44 |
| 10404 | ჰერენვენი-სტიაუა | 2.70 | 2.00 | 3.60 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 10405 | უდინეზე-ლანსი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10406 | ბოლტონი-მარსელი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10407 | ბრიუგე-რომა | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10408 | ბეტისი-ალკმაარი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10409 | თუნი-ჰამბურგი | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10411 | სლავია-პალერმო | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11396 | ლიტექსი-სტრასბური | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11399 | ბაზელი-მონაკო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11401 | ლილი-შახტარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11402 | რუსენბორგი-ზენიტი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11403 | შალკე-ესპანიოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11404 | ჰერენვენი-სტიაუა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11405 | უდინეზე-ლანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11406 | ბოლტონი-მარსელი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11407 | ბრიუგე-რომა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11408 | ბეტისი-ალკმაარი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11409 | თუნი-ჰამბურგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11411 | სლავია-პალერმო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12396 | ლიტექსი-სტრასბური | 1.60 | 2.00 |
| 12397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.60 | 2.00 |
| 12398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12399 | ბაზელი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 12400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 12401 | ლილი-შახტარი | 1.60 | 2.00 |
| 12402 | რუსენბორგი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 12403 | შალკე-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12404 | ჰერენვენი-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 12405 | უდინეზე-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 12406 | ბოლტონი-მარსელი | 1.60 | 2.00 |
| 12407 | ბრიუგე-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.70 | 1.90 |
| 12409 | თუნი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12411 | სლავია-პალერმო | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13396 | ლიტექსი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13399 | ბაზელი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.70 | 1.90 |
| 13401 | ლილი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13402 | რუსენბორგი-ზენიტი | 1.60 | 2.00 |
| 13403 | შალკე-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13404 | ჰერენვენი-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13405 | უდინეზე-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13406 | ბოლტონი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13407 | ბრიუგე-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.70 | 1.90 |
| 13409 | თუნი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13411 | სლავია-პალერმო | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.20 | 2.60 |
| 14396 | ლიტექსი-სტრასბური | 1.80 | 2.00 |
| 14397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.65 | 2.10 |
| 14398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14399 | ბაზელი-მონაკო | 1.80 | 1.90 |
| 14400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.20 | 2.60 |
| 14401 | ლილი-შახტარი | 1.65 | 2.20 |
| 14402 | რუსენბორგი-ზენიტი | 1.70 | 2.00 |
| 14403 | შალკე-ესპანიოლი | 1.35 | 2.40 |
| 14404 | ჰერენვენი-სტიაუა | 1.70 | 2.10 |
| 14405 | უდინეზე-ლანსი | 1.70 | 2.10 |
| 14406 | ბოლტონი-მარსელი | 1.70 | 2.10 |
| 14407 | ბრიუგე-რომა | 2.00 | 1.70 |
| 14408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.65 | 2.20 |
| 14409 | თუნი-ჰამბურგი | 2.10 | 1.70 |
| 14410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.65 | 2.20 |
| 14411 | სლავია-პალერმო | 1.90 | 1.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | ლიტექსი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15399 | ბაზელი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15401 | ლილი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15402 | რუსენბორგი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15403 | შალკე-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15404 | ჰერენვენი-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15405 | უდინეზე-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15406 | ბოლტონი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | ბრიუგე-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | ბეტისი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | თუნი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15411 | სლავია-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.15 | 3.90 |
| 16396 | ლიტექსი-სტრასბური | 1.45 | 2.30 |
| 16397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.30 | 2.60 |
| 16398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 1.45 | 2.30 |
| 16399 | ბაზელი-მონაკო | 1.60 | 1.90 |
| 16400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.15 | 3.90 |
| 16401 | ლილი-შახტარი | 1.35 | 2.35 |
| 16402 | რუსენბორგი-ზენიტი | 1.40 | 2.50 |
| 16403 | შალკე-ესპანიოლი | 1.25 | 3.10 |
| 16404 | ჰერენვენი-სტიაუა | 1.50 | 2.10 |
| 16405 | უდინეზე-ლანსი | 1.30 | 2.60 |
| 16406 | ბოლტონი-მარსელი | 1.40 | 2.40 |
| 16407 | ბრიუგე-რომა | 1.90 | 1.60 |
| 16408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.33 | 2.50 |
| 16409 | თუნი-ჰამბურგი | 2.30 | 1.45 |
| 16410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.33 | 2.50 |
| 16411 | სლავია-პალერმო | 1.80 | 1.80 |

### გოლი:ლუწი-1ის კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | ლიტექსი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17399 | ბაზელი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.85 | 1.95 |
| 17401 | ლილი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17402 | რუსენბორგი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | შალკე-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ჰერენვენი-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17405 | უდინეზე-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ბოლტონი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ბრიუგე-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | თუნი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17411 | სლავია-პალერმო | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18396 | ლიტექსი-სტრასბური | 2.00 | 1.60 |
| 18397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 2.10 | 1.55 |
| 18398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 2.50 | 1.40 |
| 18399 | ბაზელი-მონაკო | 2.40 | 1.50 |
| 18400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.30 | 2.90 |
| 18401 | ლილი-შახტარი | 2.00 | 1.65 |
| 18402 | რუსენბორგი-ზენიტი | 2.30 | 1.55 |
| 18403 | შალკე-ესპანიოლი | 1.55 | 2.10 |
| 18404 | ჰერენვენი-სტიაუა | 2.10 | 1.55 |
| 18405 | უდინეზე-ლანსი | 1.70 | 1.80 |
| 18406 | ბოლტონი-მარსელი | 2.00 | 1.65 |
| 18407 | ბრიუგე-რომა | 3.30 | 1.25 |
| 18408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.90 | 1.65 |
| 18409 | თუნი-ჰამბურგი | 3.30 | 1.25 |
| 18410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.80 | 1.80 |
| 18411 | სლავია-პალერმო | 2.90 | 1.35 |



ლევან მოსეშვილის „თბილავიამშენს" დღეს რუსთავში მძიმე გასვლა აქვს

# დაბლების ვირუსი
## ავია ჭოჭმანობს იმაში, რაშიც აზოტი დარწმუნებულია: მოგება

**დღეს** რუსთავის „ქიმიკოსთა" დარბაზი პირთამდე გადაივსება — ფერფლისგან აღმსდგარი და საჩემპიონოდ შემართული „აზოტი" პირველობის კიდევ ერთ მაძიებელს, ლევან მოსეშვილის „ავიამშენს" შეხვდება. საინტერესო უნდა გამოვიდეს თამაში, თუმცა ავიატორებს რამდენიმე დაშავებული ჰყავთ და თუ ისინი მოედანზე ვერ გამოვიდნენ, შესაძლოა, რუსთაველებმა იოლად იმარჯვონ. მით უფრო, რომ თბილისელთა დამრიგებელმა ლევან მოსეშვილმა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, სულაც არ ვაპირებთ, მეტოქეს თავი შევაკლათო.

— გიორგი ნიკოლაძემ გლანდების ოპერაციის შემდეგ მეორედ ივარჯიშა და ჯერ არ ვიცით, გავა თუ არა ხვალ მოედანზე — თქვა ლევან მოსეშვილმა — ასევე უცნობია, დაგვეხმარებიან თუ არა ტრავმირებული დავით ბერიშვილი და ირაკლი ხოშტარია. საერთოდ, ჩვენს გუნდს დაბლების ვირუსი შეეყარა, რადგან თითქმის არც ერთი უკანახაზელი მწყობრში არ არის. თუმცა გუნდში მატებაცაა. აქამდე აზერბაიჯანში მოთამაშე ნიკა ნოზაძე შემოგვიერთდა, რომელსაც რეკომენდაცია თვით რიმას კურტინაიტისმა გაუწია. სამწუხაროდ, ნოზაძეს სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ ნიჭიერი მოთამაშეა და მალე დაგვეხმარება კიდეც... რუსთავში რთული მატჩი გველის, მაგრამ თუ საბრძოლო შემადგენლობა არ გვეყოლება, რა აზრი აქვს, რომ ძლიერ მეტოქეს თავი შევაკლათ. საერთოდ, ისიც არ ვიცი, გვაძლევს თუ არა ხელს „აზოტის" დამარცხება, რადგან ამ გუნდთან პლეი ოფში შეხვედრას ფინალამდე არ ვისურვებდი. რუსთაველები სავარაუდოდ მეოთხე ადგილს დაიკავებენ რეგულარულ ჩემპიონატში და ნახევარფინალში პირველადგილოსანს შეხვდებიან. ერთი სიტყვით, ხვალინდელ მატჩს ჩვენთვის დიდად პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

საწინააღმდეგო აზრისანი არიან რუსთაველები, რომლებიც რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ ყველა მატჩის მოგებას აპირებენ.

— „ავიამშენთან" მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ — თქვა „აზოტის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ბადრი კიკვიძემ — ჩვენი მიზანი ყველა თამაშის მოგება და ცხრილში რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავებაა. ტრავმირებულებიც არ გვყავს. მხოლოდ ლევან ცეკვავას აწუხებს ხელი და არ ვიცით, ითამაშებს თუ ვერა.

**ირაკლი პერტაია**

# როქი არ შედგება
## უსტიაშვილი დინამოდან თსუ-ში, ტურაშვილი თსუ-დან სად?

*ყველაფერი იქით მიდის, საითაც გუშინდელ „სარბიელში" ვივარაუდეთ — „თსუ-ნიკორას" მწვრთნელობიდან წასულ მამუკა ტურაშვილის ადგილს თბილისის „დინამოს" თავკაცი დავით უსტიაშვილი იკავებს.*

*გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის ხელმძღვანელ ამირან სანიკიძეს რომ შევეხმიანეთ, უსტიაშვილის თსუ-ში მისვლა უარყო, თუმცა დაადასტურა, რომ „დინამოს" თავკაცი სტუდენტური გუნდის მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია.*

*ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ დროს ირკვევა, რომ დავით უსტიაშვილი „დინამოს" ტოვებს. ის დღევანდელ მატჩში „თსუ-ნიკორას" წინააღმდეგ გაუძღვება გუნდს და მერე „დინამოს" დაემშვიდობება. ისმის ბუნებრივი კითხვა: რატომ ტოვებს უსტიაშვილი „დინამოს", თუ თსუ-ში არ გადადის? ამ კითხვას კი „დინამოს" მმართველმა დირექტორმა გია სანაძემ უპასუხა...*

— გავიგეთ, „დინამო" უმწვრთნელოდ რჩება...

— დიახ, დავით უსტიაშვილი ხვალ „თსუ-ნიკორასთან" გაიყვანს გუნდს და მერე დაგვემშვიდობება. თავად უსტიაშვილმა მოისურვა ასე, დღე დილით მელაპარაკა.

— „დინამოს" ვინ უთავკაცებს?

— მოვნახავთ ვინმეს. უსტიაშვილის წასვლა კი ნამდვილად არ გვინდოდა, მაგრამ ვერ შევაკავებდით, რადგან ჩვენ მასთან ოფიციალური კონტრაქტი არ გვქონია, დავითი რომ გუნდიდან მიდის, კლუბის ხელმძღვანელებმა ჯერ არ იციან, ახლა მივდივარ მათთან უსტიაშვილის გადაწყვეტილების შესატყობინებლად.

— უსტიაშვილს არ უთქვამს, რატომ მიდის გუნდიდან?

— მითხრა, „თსუ-ნიკორას" მწვრთნელობა შემომთავაზესო და მთავარი მიზეზიც ესაა. არ ვიცი, უსტიაშვილი და თსუ-ს ხელმძღვანელობა უკვე შეთანხმდნენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი „დინამოდან" მიდის.

— მოსალოდნელი ხომ არა, რომ „დინამო" „თსუ-ნიკორას" თავკაცმა მამუკა ტურაშვილმა ჩაიბაროს?

— ეგ გამორიცხულია.

*მაშ ასე, დღესღა გაუძღვება დავით უსტიაშვილი „დინამოს" და მერე, როგორც სანაძესთან საუბრიდან ჩანს, „თსუ-ნიკორას" ჩაიბარებს.*

**ირაკლი პერტაია**



დავით უსტიაშვილი

## NBA
### რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| კლივლენდი | 101:87 | სან ანტონიო |
| შარლოტი | 83:91 | პორტლენდი |
| ნიუ ორლეანი | 97:96 | ვაშინგტონი |
| მინესოტა | 94:98 | ტორონტო |
| დალასი | 100:72 | ნიუ იორკი |
| ლეიკერსი | 94:88 | იუტა |
| გოლდენ სტეიტი | 79:81 | მემფისი |



# უფულოდ, ოღონდ არა უგულოდ
## ჩემპიონატები და შესარჩევი

**ახალი,** კარსმომდგარი სეზონის წინ, გუშინ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობამ.

სპორტის დეპარტამენტის საააქტო დარბაზში შეკრებილ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ასოციაციის ხელმძღვანელებს — პრეზიდენტ მამუკა სხიერელს, ვიცე-პრეზიდენტ ჯემალ ცერცვაძესა და გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს სათქმელი, მართლაც, ბევრი ჰქონდათ.

ითქვა ცუდზეც და კარგზეც. სასიამოვნოა, რომ ბოლოს ხანს უფრო დადებით ძვრებზე გვიხდება საუბარი, რაც, ცხადია, ქართული ხელბურთის სასახელო ტრადიციების აღდგენისკენაა მიმართული.

ტარდება ეროვნული ჩემპიონატები ვაჟთა და ქალთა შორის, აგრეთვე ჭაბუკთა ორ ასაკობრივ კატეგორიაში. იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ქაოსურობა მწყობრ სისტემაში გადაიზარდა. შეიქმნა 20, 18 და 16-წლიან ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრებები, რომელთაც საერთაშორისო სარბიელზე მოუწევთ სამშობლოს ღირსების დაცვა.

უმთავრესია აპრილში დანიშნული, ოცწლიან ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ოთხგუნდიანი შესარჩევი ტურნირი, რომელიც თბილისში ან თელავში გაიმართება. ევროპის ხელბურთის ფედერაციის მხრიდან ამგვარი დონის შეჯიბრების სამასპინძლოდ საქართველოს არჩევა ჩვენთვის უდიდესი ნდობაცაა და უზარმაზარი პასუხისმგებლობაც, რადგან ტურის მოწყობის დონეზე ბევრადაა დამოკიდებული ზემდგომ ორგანიზაციებთან ჩვენი სამომავლო ურთიერთობა.

უცუდესი, ანუ, როგორც ყოველთვის, უმთავრესი უკანდამხევი ჩვენი პრობლემა — უფულობაა. ზურაბ კაკაბაძის თქმით, ხელბურთი საქართველოში აუტსაიდერ სახეობათა შორისაა სახელმწიფო დაფინანსების მხრივ.

არადა, ხელბურთელებს ყოველწლიური ღონისძიებებისთვის არცთუ კატასტროფული თანხა სჭირდებათ.

იმედია, არც ისე მძიმედ დასაძლევი საკითხები საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით სასიკეთოდ გადაწყდება, რაც ჩვენს ხელბურთს აღმავლობის იმედს დაუბრუნებს.

მანამდე კი, სამიოდ კვირაში, 6-8 მარტს შიდა ეროვნული ტურნირები გაიმართება, ანუ განახლდება საქართველოს ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

**გია ახალაძე**



# ნავარჯიშევს გამოჩნდება
## შოთა ხაბარელი: შანსს ყველას მივცემთ

**პარიზის** ტურნირზე ნაჭიდავებ ქართველ ძიუდოისტებს გუშინწინ ნაკრების პირველი ნომრები დაემატნენ და საფრანგეთშივე ერთობლივი ვარჯიშები გახურდა. შოთა ხაბარელის თოთხმეტკაციანი გუნდის გარდა მასში სამოცამდე ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს, იმაზე მეტი, ვიდრე თავად ფრანგულ სუპერთასზე გამოვიდა.

„წვრთნები ორშაბათ საღამოს დაიწყო და ხუთშაბათამდე გასტანს — გვითხრა გუშინ ხაბარელმა დილის ვარჯიშისას — აქ უძლიერესი შემადგენლობაა შეკრებილი და მათთან სპარინგები აუცილებლად სასიკეთოდ წაგვადგება."

ნაკრების თავკაცი სუპერთასზე შეგირდების გამოსვლით კმაყოფილია:

„მართალია, მხოლოდ ერთი მედალი ავიღეთ, მაგრამ თითქმის ყველამ კარგად იჭიდავა. გიორგი ყიზილაშვილს (100 კგ) ბრინჯაომდე ერთი გამარჯვებაღა დააკლდა. თან გასათვალისწინებელია, რომ მან მძიმე წონიდან 100-ში ზედ ტურნირის წინ ჩაინაცვლა. კარგად იჭიდავეს ასევე წონაშეცვლილმა ზაზა კედელაშვილმა (66-დან 73-ში), ბეთქილ შუკვანმა (60 კგ), გიორგი ბაინდურაშვილმა (81 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (+100 კგ). ამ ბიჭებს და ნაკრების სხვა კანდიდატებს ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად შანსი კიდევ მიეცემათ. მაისის ბოლოს ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატამდე მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე ყველას გამოვცდი".

ვარჯიშის მიწურულს ხაბარელმა ტელეფონი ზვიად ხანჯალიაშვილს გადასცა მცირე კომენტარისთვის. ვრცელ ინტერვიუს კი ძიუდოისტი საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაგვპირდა.

ზვიად ხანჯალიაშვილი: „ტურნირზე თითქმის ორი წელი არ მეჭიდავა და მედლით დაბრუნება განსაკუთრებით გამიხარდა. ახლა მთავარია, ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე და ნაკრების შემადგენლობაში დავმკვიდრდე."

საქართველოს ნაკრები თბილისში ორ დღეში დაბრუნდება. უახლოესი ტურნირი კი 25-26 თებერვალს ჰამბურგში გაიმართება. გერმანულ სუპერთასზე შოთა ხაბარელი მეორე-მესამე ნომრების წაყვანას აპირებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ოლიმპიური ოქროს ბირჟა

## რა ღირს ჩემპიონობა?

**ოლიმპიური** ჩემპიონობა, გნებავთ ზაფხულის, გნებავთ ზამთრის თამაშებზე არა მხოლოდ სახელი, პატივი და დიდებაა, არამედ ფინანსური წარმატებაც. ოღონდაც ეს უკანასკნელი ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის ერთგვარი სულაც არაა. ამ მხრივ საინტერესოა იმ ქვეყანათა სპორტსმენების პრემიალურების გადახედვა, რომლებიც ტრადიციისამებრ ოლიმპიადებზე ყველაზე მეტ მედალს უეფლებიან. მაგალითად ამერიკელებმა წინა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სოლტ ლეიკ სიტიში ოქროს მედლისთვის 25-25 ათასი დოლარი მიიღეს, გერმანელებმა — 13-13, ნორვეგიელებს კი არაფერიც არ მისცეს. თუმცა ისინი ან თუნდაც გერმანელები და ამერიკელები პრემიალური თანხისთვის სულაც არ იდგამდნენ წელებზე ფეხებს (თხილამურებს). მათთვის თუნდაც იმ 25 ათასი დოლარის დაკარგვა სპორტსმენთა კეთილდღეობაზე მაინცდამაინც დიდ გავლენას არ მოახდენდა.

სულ სხვაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებისთვის ასეთი თანხის დაკარგვა. მით უმეტს მეტისაც, რაკილა მათი გასამრჯელო ზემორე ციფრებს ბევრით აღემატება.

ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის უზბეკეთისა და უკრაინის მთავრობებმა თავიანთი სპორტსმენების გამარჯვებისთვის ოფიციალურ საპრიზო თანხად 100-100 ათასი დოლარი დააწესეს. ამ მხრივ ყველას აჯობა ყაზახეთის მთავრობამ, რომელიც ჩემპიონობისთვის 200 ათას დოლარს იმეტებს. თუმცა, სიმართლე ვთქვათ, იმის ალბათობა, რომ რომელიმე ყაზახი სპორტსმენი ამ თანხას დაიმსახურებს, ძალზე მცირეა.

რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, მან თავისი ქვეყნის ჩემპიონი სპორტსმენებისთვის, ისევე როგორც სოლტ ლეიკ სიტიში, სატურინოდაც 50 ათასი დოლარი დააწესა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი სპორტსმენები შესაბამისად 20 და 10 ათას დოლარს მიიღებენ.

თუმცა, ეს ყველაფერი რუსი მედალოსნებისთვის ბევრი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაოფიციალურად მიიღებენ. მათ დამატებით თანხას პირდებიან ადგილობრივი ორგანოების ხელისუფალნი, რის შედეგადაც პრემიალურები სულ ცოტა ოთხჯერ იზდება, მაგალითად, მოთხილამურე ევგენი დემენტიევი ტურინული ოქროსთვის სულ ცოტა 200 ათასი დოლარით დაჯილდოვდება. ამას უნდა დავუმატოთ სპონსორებისა და მეცენატეების მიერ გამეტებული თანხები, რაც ოფიციალურ საპრიზოს ხშირად აჭარბებს. მაგალითად, რუსეთის კომპანია „პრავოკომმა", რომელიც რუსეთის კონკურს „ოლიმპიური ვარსკვლავის" ერთ-ერთი ორგანიზატორია, გადაწყვიტა ტურინში ორ საუკეთესო სპორტსმენს ავტომობილი „მერსედესები" უფეშქაშოს. ამათგან ერთი უთუოდ ჰოკეისტი უნდა იყოს, მეორე კი სხვა სახეობათა წარმომადგენელი.

რუს სპორტსმენებს აგრეთვე წაახალისებს რუს იუველირთა გილდია, რომელიც ჩემპიონებს 1000 დოლარად ღირებულ სერთიფიცირებულ ბრილიანტებს გადასცემს. ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რუსი ოლიმპიელების მხარდამჭერი ფონდი ჩემპიონებს მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 5-5 ათას დოლარს გადაუხდის, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები 4-4 ათასს მიიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიური ჩემპიონები ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავიანთ მაღალ დონეს დაამტკიცებენ, მათი ამგვარი შემოსავლები კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

ამას გარდა, რუსეთის შემნახველმა ბანკმა და ოლიმპიურმა კომიტეტმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ტურინის ჩემპიონები და პრიზიორები პლასტიკურ ბარათებს მიიღებენ, რომლებზეც განსაზღვრული თანხა იქნება დარიცხული, თუმცა, მათ მოცულობას საიდუმლოდ ინახავენ.

ასე რომ, წარმატებული ოლიმპიელობა ფინანსური თვალსაზრისით ცუდი სულაც არაა და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ჩინური კისრულის რუსული ოქრო

**ფიგურული სრიალი**
**წყვილები**

**1 ტატიანა ტოტმიანოვა, მაქსიმ მარინინი — 204, 48**
**2 დან ჩანგი, ხაო ჩანგი — 189, 73**
**3 ცზიან ტონი, კინ პენი — 186, 67**

**„დღეს** ყველა დარწმუნდა, რომ ფიგურული სრიალი სიცოცხლისთვის საშიშია. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და ოქროს მედლებს ხალისით შევირგებთ" — თქვა წყვილებში მოსრიალე რუსმა ტატიანა ტოტმიანოვამ, როგორც კი მეწყვილე მაქსიმ მარინინთან ერთად ტურინული ოქროს სინჯი ჩაკბილა.

სანამ რუსთა დუეტი მორიგ ოქროს მოუნაგრებდა დერჟავას, რუსთა მდევრების, ჩინური წყვილის დან და ხაო ჩანგების ყინულზე ცეკვა კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. ხაომ დანი ჰაერში შეათამაშა, მერე კი ველარ შეიმაგრა და ყინულზე კისრით დაანარცხა. დანმა წამები ყინულზე გაწოლილმა გაატარა, მერე წამოდგომაც შეძლო და ურთულესი ილეთები ცეკვა-ცეკვაშიც ჩაანარნარა. მსაჯებმაც მოწყალება გაიღეს და ჩინურ წყვილს სამეორეადგილოსნო ქულები დაუწერეს. ყინულის მოცეკვავემ, მსოფლიოს ჩემპიონმა რუსმა ილია ავერბახმა კი მსაჯები გაწკეპლა, ჩინელებს განგებ მოუმატეს ქულები, რუსებს რომ დაწეოდნენო. თუმცა მერე ტონი შეარბილა და თქვა, ასეთი შეცდომის შემდეგ ჩინელებს ჩემპიონობის შანსი მაინც არ ჰქონდათო.

აქვე ვთქვათ, რომ მესამე ადგილიც ჩინურმა წყვილმა დაიკავა, ხოლო ტოტმიანოვასა და მარინინის წყვილმა კარიერა დაასრულა. დროა ადგილი, ახალგაზრდებს დავუთმოთო, თქვეს პრესკონფერენციაზე.

**ბაჩო სვანიძე**



AFP ტურინიდან

# ყაზახები ოლიმპიურ პოდიუმზე

## DOLCE & GABBANA: ამათ ყურებას არაფერი ჯობს

**სახელგანთქმულმა** დიზაინერებმა დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანამ ყაზახ სპორტსმენებს ყველაზე მოდური გუნდის წევრები უწოდეს. დიზაინერები ტურინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ყაზახთა ჩაცმულობამ აღაფრთოვანა.

„არც კი დავფიქრდებოდით, ყაზახ სპორტსმენებს ისე მივიწვევდით მოდელიორებად, მათ DOLCE & GABBANA-ს სტილში BORSALINO-ს ისეთი მოდური შავი პალტოები ეცვათ და შლიაპები ეხურათ, რომ აღტაცებულნი დავრჩით" — წერდნენ ისინი ლა სტამპაში.

ფრანგთა, ეგრეთ წოდებული, ცივილური ჩაცმულობა ყველაზე დახვეწილი იყო. თუმცა, მათი სარჩულები დიზაინერებმა „მეტისმეტად იდეალურად" ჩათვალეს.

გერმანელთა მანდარინისფერი ჩაცმულობა დიზაინერებმა მონათლეს როგორც „ვიტამინ C გადაჭარბება", ხოლო ამერიკელთა ბერეტები მათი აზრით, გამოიყურებოდა როგორც „გადაბრუნებული ქვედა საცვლები".

დიზაინერებმა კბილი გაჰკრეს ჩინელებსაც, რომლებიც მათი თქმით — „თავიანთ გრძელ ქურთუკებში სენდვიჩებს გავდნენ და უფრო დაბლებად გამოიყურებოდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ.

დიზაინერებს ყაზახებთან ერთად ძალზე მოეწონათ რუსთა ჩაცმულობაც. „რუსები საშობაოდ გამოიყურებოდნენ თეთრ ფორმებში, რომლებიც ისინი უფრო გამხდრებად და მაღლებად წარმოგვიდგნენ."

საინტერესოა, იტალიელ დიზაინერებს რა შთაბეჭდილებას დაუტოვებდა ქართული დელეგაციის „შავში-გადაწყვეტილი" ჩაცმულობა.



AFP ტურინიდან


AFP ტურინიდან

ანა დალბერგი და ლინა ანდერსონი პირველ შვედურ ოქროს ხარობენ...



...ოციოდ წუთში კი იგივე სახეობაში ბიორნ ლინდმა შვედურ ყულაბაში მეორე ოქროც ჩააწკრიალა

# ტურინის ოქრო შვედურ მაგიდაზე

ბარის თხილამურობა
ქალები

გუნდური სპრინტი

1 შვედეთი (ანა დალბერგი, ლინა ანდერსონი) — 16.36,9
2 კანადა (სარა რენერი, ბეკი სკოტი) — 16.37,5
3 ფინეთი (აინო კაისა საარინენი, ვირპი კუიტინენი) — 16.39,2

კაცები

გუნდური სპრინტი

1 შვედეთი (ტობიას ფრედრიკსონი, ბიორნ ლინდი) — 17.02,9
2 ნორვეგია (იენს-არნე სვერტდალი, ტორ-არნე ჰეტლანდი) — 17.03,5
3 რუსეთი (ივან ალიპოვი, ვასილი როტჩევი) — 17.05,2

შვედური გვალვა დასრულდა და თანაც როგორ. სკანდინავებს უკვე 18 წელია, რაც ბარის თხილამურობაში ოლიმპიური ოქრო არ მოეგოთ და აგერ, გუშინ 20 წუთის ინტერვალით ზედიზედ ორი მოიპოვეს, თანაც გუნდურ სპრინტში, რაც კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს ამ გამარჯვებას. შევახსენებთ, რომ გუნდური სპრინტი საკმაოდ სპეციფიკური სახეობაა — აქ ნაკრები ორი მოთხილამურისგან შედგება, რომლებიც რბოლის დროს ექვსჯერ ენაცვლებიან ერთმანეთს. ამიტომ ამ სახეობაში ორივე მოთხილამურე მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს.

როგორც აღმოჩნდა, შვედები ოლიმპიადას დიდებულ ფორმაში შეხვდნენ. კაცთა გუნდი მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, რადგან მათი უპირველესი კონკურენტი — გერმანიის ნაკრები გვარიანად დასუსტებული იყო. ტევტონებს ტრავმების გამო ორი ლიდერი — აქსელ ტაიხმანი და რენე ზომერფელდტი არ ჰყავდათ, მაგრამ სამაგიეროდ ნორვეგია და რუსეთი გამოიყურებოდნენ ძალიან სოლიდურად.

აი, შვედი ქალებს სამეულისთვის ძლივს იმეტებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ უმთავრესი ფავორიტი ნორვეგია იყო — ვიკინგ დედაკაცთა ლიდერი მარეტ ბიორგენი უკანასკნელ წლებში ყველაფერს იგებს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბიორგენს ოლიმპიადების გარკვეული კომპლექსი ჰქონია — მან ვერც სოლტ ლეიკ სიტიში გამოიჩინა თავი, ხოლო ტურინში ჯერ კვირას დუატლონი საერთოდ, ვერ ჩაამთავრა, ხოლო გუშინ ჩამთავრება კი მოახერხა, მაგრამ მაინც უმედლოდ დარჩა.

შვედმა ქალებმა და კაცებმა კი ტაქტიკურად დაჯაბნეს მეტოქეები. ჯერ ქალთა ფინალი გაიმართა. აქ რბოლის ბოლოსკენ სამეული დაწინაურდა — კანადა, ფინეთი და შვედეთი. უკანასკნელ წრეზე წინ ჩრდილოამერიკელი ბეკი სკოტი მიდიოდა. ჰოდა, ლინა ანდერსონმა ჭკუა იხმარა — კანადელს დაწინაურების საშუალება მისცა, თავად კი ძალები შემოინახა, ფინიშის ხაზთან მოუმატა და ბოლოს გადაუსწრო მეტოქეს.

თითქმის ამავე სცენარით წარიმართა კაცთა ფინალიც. ბოლოსწინა წრეზე ნორვეგიელმა იენს არნე სვერტდალმა თანაგუნდელ ტორ-არნე ჰეტლანდს გარკვეული უპირატესობა შეუქმნა. შვედმა ბიორნ ლინდმა არ დააჩქარა მოვლენები და ნორვეგიელს უკანასკნელ წრეზე შორიახლოს მიჰყვა. მაგრამ ბოლო ას მეტრში ლინდმა თითქოს რეაქტიული ძრავა ჩართო — ფინიშისკენ, ფაქტობრივად, გაფრინდა და პატარა მონაკვეთში ჰეტლანდს თითქმის 10 მეტრი მოუგო, რაც ოქროს მოსაგებად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

„ეს ფანტასტიკაა... 20 წუთში ორი ოქრო მოვიგეთ, სიტყვები არ მყოფნის" — აღტაცებას ვერ მალავდა ლინა ანდერსონი.

არანაკლებ გახარებული იყო ბიორნ ლინდიც — „დღეს მზე შვედეთისთვის ანათებდა. ორივე გუნდმა ტაქტიკურად იდეალურად წარმართა რბოლები. ეს შვედეთისთვის, მართლაც, დიდებული დღეა."

13 თებერვალი

ციგურაობა
კაცები
500 მ

1 ჯონ ჩიკი (აშშ) — 1.09,76
2 დმიტრი დოროფეევი (რუსეთი) — 1.10,41
3 კან სეოკ ლი (ს. კორეა) — 1.10,43

14 თებერვალი

ციგურაობა
ქალები
500 მ

1 სვეტლანა ჟუროვა (რუსეთი) — 1.16,57
2 მანლი ვანი (ჩინეთი) — 1.16,78
3 ხუეი რენი (ჩინეთი) — 1.16,87

ციგაობა
ქალები

1 სილკე ოტო (გერმანია) — 3.07,979
2 სილკე კრაუსხაარი (გერმანია) — 3.08,115
3 ტატიანა ჰეფნერი (გერმანია) — 3.08,460

## მედლები

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | 4 | 3 | 2 | 9 |
| 2 აშშ | 4 | 2 | - | 6 |
| 3 გერმანია | 4 | 1 | 2 | 7 |
| 4 შვედეთი | 2 | - | - | 2 |
| 5 ნორვეგია | 1 | 5 | 5 | 11 |
| 6 პოლანდია | 1 | 2 | - | 3 |
| 7 კანადა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8 ს. კორეა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 9 იტალია | 1 | - | 2 | 3 |
| 10 საფრანგეთი | 1 | - | 1 | 2 |
| 11 ესტონეთი | 1 | - | - | 1 |
| 12 ჩინეთი | - | 2 | 3 | 5 |
| 13 ავსტრია | - | 2 | - | 2 |
| 14 ფინეთი | - | 1 | 2 | 3 |
| 13 ჩეხეთი | - | 1 | - | 1 |
| 14 ლატვია | - | 1 | - | 1 |
| 15 შვეიცარია | - | - | 1 | 1 |

# სადაა ბიორნდალენი? სულ სხვა ვიკინგები

ბიატლონი
კაცები

სპრინტი. 10 კმ

1 სვენ ფიშერი (გერმანია) — 26.11,6 (0+0)
2 ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) — +0.08,2 (0+0)
3 ფროდე ანდრესენი (ნორვეგია) — +019,7 (0+1)

ორი რბოლა — ორი ოქრო, ასეთი ასპროცენტიანი შედეგი აქვთ გერმანელ ბიატლონისტ კაცებს, რაც საკმაოდ დიდი სიურპრიზია. ტევტონებს ოლიმპიადის წინ თავიანთი ქალი ბიატლონისტების დიდი იმედი ჰქონდათ; მაგრამ კატი ვილჰელმი და კომპანია ჯერჯერობით მათზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებენ. სამაგიეროდ, კაცებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს.

ამჯერად თავი გერმანელთა ძველმა გვარდიამ, კერძოდ კი უკვე ცოცხალ ლეგენდად ქცეულმა სვენ ფიშერმა გამოიჩინა. გუშინ სწორედ გამოცდილმა გერმანელმა მოუტანა თავის ნაკრებს მეორე ბიატლონური ოქრო.

ფიშერმა უმაღლესი კლასი აჩვენა და დამსახურებულადაც იმარჯვა. გამოცდილმა სვენმა, რომელსაც თავისი ცამეტწლიანი კარიერის განმავლობაში ყველაფერი გამოუცდია — აღმაფრენაც და იმედგაცრუებაც — ამჯერად არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს. ოთხი წლის წინ ფიშერმა ეს დისციპლინა მხოლოდ თავისი შეცდომების გამო ვერ მოიგო და სოლტ ლეიკ სიტი მისთვის კარგი გაკვეთილი გამოდგა — გერმანელმა სწრაფადაც ისრიალა, არც სასროლეთთან შენელებულა და სროლის დროსაც უნაკლო იყო.

„ბედნიერი ვარ. რამდენად? ბოლომდე ვერ აღვწერ. ეს უდიდესი წარმატება და უდავოდ ჩემი კარიერის პიკია. დღეს ყველაფერი იდეალურად გავაკეთე, ახლაც მიჭირს ამის დაჯერება" — აი, ასეთი გახარებული იყო ფიშერი, რომელმაც კარიერაში პირველი ინდივიდუალური ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

საკმაოდ კარგად გამოვიდა კიდევ ერთი ტევტონი ვეტერანი — რიკო გროსიც, თუმც მან სწრაფად ვერ ისრიალა და ამიტომაც მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა გერმანელებმა „გამოიჩინეს" თავი უარყოფითი მხრიდან — განსაკუთრებით ეს ინდივიდუალური რბოლის გამარჯვებულ მიხაელ გრაისს ეხება. ჩანს ფავორიტის სტატუსმა მასზე ძალიან ცუდად იმოქმედა — ბიორდალენის დამმარცხებელი ახლა ოცეულშიც ვერ შევიდა.



AFP ტურინიდან

სვენ ფიშერი

მორიგი რბოლა ჩააგდეს უმთავრესმა ფავორიტებმა — ფრანგმა რაფაელ პუარემ და ისევ და ისევ ნორვეგიელმა ოლე-ეინარ ბიორნდალენმა. განსაკუთრებით ეს სკანდინავს ეხება, რომელიც ტურინში ძალიან ცუდად გამოიყურება. ბიორნდალენი ველარ მოახერხებს თავისი ლეგენდარული თანამემამულის — ბიორნ დელის რეკორდის გამეორებას და ცხრა ოლიმპიურ ოქროს ვერც ერთ შემთხვევაში ველარ შესწვდება. თუმც დარჩენილი სამი რბოლის მოგების შემთხვევაში ოლე-ეინარი დელის რეკორდის გამეორებას შეძლებს. ისე, ჩვენში დარჩეს და, ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება, ვინაიდან შაბათს გასამართი რბოლისას ლიდერ ფიშერთან მისი ჩამორჩენა წუთზე მეტი იქნება.

ბიორნდელენისგან განსხვავებით, თავი სხვა ნორვეგიელებმა გამოიჩინეს. ჰალვარდ ჰანევოლდმა ტურინში მეორე მედლით დაიმშვენა მკერდი და შაბათს მოგებულ ბრინჯაოს ვერცხლი დაამატა.

მესამე ადგილზე კიდევ ერთი სკანდინავი — ფროდე ანდრესენი გავიდა, რომელმაც, ყველას გასაოცრად, მხოლოდ ერთხელ ააცდინა სამიზნეს და ბრინჯაოც დაისაკუთრა.

ბაჩა ლომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანელმა ევა-მარია ფიტცემ ისეთი „სიმარჯვე" გამოიჩინა ყინულზე ვარდნაში, რომ მსაჯებმა მისი და რიკო რექსის წყვილი მე-15 ადგილს დააჯერეს

AFP ტურინიდან



აი, დან და ჰაო ჩანგების დაძმურმა დუეტმა კი ვერცხლის მოპოვება მაინც შეძლო მიუხედავად იმისა, რომ ზორბა ძმია ჰაომ ერთ ეპიზოდში ვერ დაიჭირა ჰაერში შესროლილი დაია დანი და ყინულზე დასცა

AFP ტურინიდან



ეს მხოლოდ ვარჯიშია, მაგრამ ფოტოობიექტივების წინ თოვლში კოტრიალი არც ვარჯიშზეა სიამოვნება. კანადელი ფრისტაილერი კაილ ნისენი კიდევ იოლად გადარჩა

AFP ტურინიდან



ზუსტად იმავ ვარჯიშზე და იმავ მუხთალ ფერდობზე იგივე დაემართა ბელარუს ალექსეი გრაშინს

AFP ტურინიდან



ბიატლონის ნორვეგიელ ვარსკვლავ ოლე ეინარ ბიორნდალენს კი ტურინში ბედთან ერთად საკუთარი მოხერხებაც ღალატობს – ერთთავად აგებს და იქნებ ახლა ამას ფიქრობს, თოვლიდან თავი არ გამომეყოფაო

AFP ტურინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჭელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00